

საქართველო

ქართული
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

პარასკევი 12 ოქტომბერი 2001 №195 (1468)

ფასი 50 თეთრი

საქართველო დინამო გააუვილა

გუშინ თბილისის „დინამოს“ განახლებულ დილმის საწვრთნელ ბაზას დიდძალი დიდუბრობა ესტუმრა საქართველოს პრეზიდენტით დაწყებული და ქლების ახალი მუპატრონით დამთავრებული. ჯონსონციუმ „სპორტ უორლდ პარტნერშიფის“ კომერციულმა დირექტორმა პიტერ ბონდმა „დინამოს“ ძველი დიდება გაიხსენა და ქლების აღორძინებას დაგვიპირდა. „დინამოს“ ძველ-ახალ მუპატრონეთა პრესკონფერენციისას გაირჩვა, რომ მთლად უსაფუძვლო არც ბადრი პატარჯაციშვილის მიერ

„დინამოს“ ყიდვის თაობაზე დარხეული ხმები ყოფილა. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა მინისტრს ახა თარგამაძეს მისგან უპროცენტოდ მილიონიანი კრედიტი აუღია და ბაზაც ისე შეუკეთებია. ახალი პატრონი კი, რომელმაც გუშინ „დინამოს“ აღმასრულებელ დირექტორ გია ფირცხალავას მილიონლარიანი ჩეკი გადასცა, პატარჯაციშვილს პარტნიორობას სთავაზობს. ერთი სიტყვით, ქართული ფეხბურთის სიამაყე უცხოელთა საყურება და საპატრონო გახდა.



„დინამოს“ ახალი პატრონთაგანი ინგლისელი პიტერ ბონდი




საქართველოს პრეზიდენტმა განახლებული დილმის ბაზა მოინახულა და თბილისის „დინამო“ ახალ პატრონს გადააბარა

რეპორტაჟი დილმის ბაზიდან და „დინამოს“ ძველ-ახალ მუპატრონეთა პრესკონფერენციიდან იხილეთ მეორე გვერდზე

ევროლიგა ჩვენთვისაც დაინყო

ფაჩულია: 12; ბოისა: 2



გუშინ, ამ სეზონში კვლავ გაერთიანებული ევროპის საკლუბო კალათბურთის უმთავრეს ტურნირში — ევროლიგაში „ქართული“ გუნდები ჩაერთვნენ და წარმატებითაც. ზაზა ფაჩულიას „ულქერმა“ სტამბოლში „ლონდონ თაუერს“ უმასპინძლა და ევროლიგის პირველ ტურში ერთადერთი ასცდა ასქულიან ზღვარს — 107:64. ფაჩულიამ 12 ქულა გააგეთა. შედარებით გაუჭირდა ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას“, რომელმაც შინ, ლიუბლიანაში ბოლო წუთებზე გატეხა ბერძნული „პერისტერი“ — 81:74. ბოისამ 2 ქულა იგმარა.



ბულღაროსტი — რეალი 72:82. ნიკოლა იესტრატევიჩი და რეალელი ჟან ტაბაჟი (ბურთით)

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

REUTERS პოფგორაიციდან

დინამო გუნდის ხიფა

თბილისის „დინამო“ – ახალი პატრონით, გარემონტებული ბაზით, ათასი მითქმა-მოთქმით და ნანატრი პრესკონფერენციით. თუმცა ბევრი რამ კვლავაც გაურკვეველი დარჩა. პრესკონფერენცია მართლაც ექსტრემალურ

დი მაქვს, რამდენიმე წელიწადში „დინამო“ მოწინავე ევროპული კლუბებისთვის ანგარიშგასასწავლი ძალა გახდება. — ბადრი პატარკაციშვილი თქვენი კონსორციუმის კომპანიონია? პიტერ ბონდი: ბადრი არ არის ჩვენი კონსორციუმის წევრი, თუმცა ჩვენ შევქმენით ისეთი პარტნიორობა, რომელიც სპორტ პარტნიორობაა, რომელიც უშუალოდ, პირდაპირ იქნება ჩართული თბილისის „დინამოს“ საქმეებში. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ბადრისთან მისი ამ პარტნიორობაში მონაწილეობის თაობაზე.



თბილისის „დინამო“ ძველ-ახალი პატრონები: პიტერ ბონდი და კახა თარგამაძე

დღის ბაზას შაშხანაგადაკიდებული პოლიციელები იცავდნენ, რადგან „დინამოს“ განხლებული საცხოვრისის მონახულებას თვით ქვეყნის პრეზიდენტი აპირებდა. ელუარდ შევარდნაძემ ბაზა დათვალიერა, მერე შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძესთან ერთად საპრესკონფერენციო დარბაზში შეიარა, „დინამოს“ მიერ მოპოვებული თასების ასლებიც შეათვალიერა. თარგამაძემ კი ჟურნალისტების თანდასწრებით უთხრა პრეზიდენტს, ბაზის გასარემონტებლად მილიონდოლარიანი კრედიტი ბადრი პატარკაციშვილმა გავიყენებო. ბადრი ჩვენი კაცია, აქ დაიბადა, აქ ისწავლა — იყო კმაყოფილი პრეზიდენტის გამოძახებით. ქვეყნის მთავარი პირები ბაზის მინდორსაც მიადგნენ, სადაც მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც შეავლეს თვალი. ამის შემდეგ პრეზიდენტი იქ მყოფთ დაემშვიდობა და პრესკონფერენციის ჯერიც დადგა ჟურნალისტთა შეკითხვებს კახა თარგამაძემ და კლუბის აქციათა 90 პროცენტის მფლობელი ფირმის წარმომადგენელმა პიტერ ბონდმა უპასუხეს.

კახა თარგამაძე: მობრძანებისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ ჟურნალისტებსაც კი, რომლებიც „დინამოს“ ამბების ირგვლივ მკაცრად გვაკრიტიკებდნენ. ეს რომ არა, ბაზას ასე კარგად ალბათ ვერც გავარემონტებდით. 6 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდე ქვეყნის ბიუჯეტის კუთვნილი თანხებიდან შპს თბილისის „დინამოს“ დავალიანებებსა და აგრეთვე ყველა გადაუღებელი ხარჯების დაფინანსებაზე 3 022 000 ლარი დაიხარჯა. ეს თანხა უნდა დაბრუნებულიყო ბიუჯეტში. ტრანსფერებზე დაიხარჯა 827 000 ლარი, ბაზის აღჭურვილობისთვის — 200 000, ბაზის რემონტისთვის — 2 000 000, სულ 6,6 მილიონი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა გადასახადებიდან 1 100 000 ლარი დაუბრუნდა, ხოლო იმ ხელშეკრულების შედეგად, „დინამოს“ ახალი პატრონი რომ გამოუჩნდა, მილიონად დაიფარა 6,6 მილიონი ლარი.

პიტერ ბონდი: ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში და ძალიან მონიბლული ვარ. მე ინგლისელი, ლონდონელი და კონსორციუმ „სპორტ ვორლდ პარტნერშიპის“ კომერციული დირექტორი გახლავართ. თბილისის „დინამო“ კომპანია „პეზერ პარკ პროპერტი“ იყიდა, ხოლო „სპორტ ვორლდ პარტნერშიპი“ ამ კომპანიის მფლობელია. — რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ქართული ფეხბურთით, კერძოდ

თბილისის „დინამოთი“? პიტერ ბონდი: საქართველოს, ამ პატარა ქვეყანას, დიდი საფეხბურთო ისტორია და მემკვიდრეობა აქვს. პატარა ქვეყნებმა კი საერთაშორისო საფეხბურთო ასპარეზზე აქტიური და შედეგარი ბრძოლა დაიწყეს და ამ ქვეყნების გუნდებს მიუღ მსოფლიოში საკმაოდ ბევრი გულშემოტივარი ჰყავთ. სამწუხაროდ, ბოლო ათი წლის მანძილზე „დინამოს“ ბევრი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მასსოვს 1981 წელს „დინამო“ ლონდონში რომ ჩამოვიდა

და „ვესტ ჰემი“ დაამარცხა. ისიც მასსოვს, თუ როგორ ვტიროდით, როცა „დინამომ“ მანამდე „ლივერპულს“ 3:0 მოუგო. „დინამო“ დიდი გუნდია ფანტასტიკური ისტორიითა და შემკვიდრებით. „დინამოს“ მე გლაზგოურ „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შევადარებ. ასე რომ, თავს პრივილეგირებულად ვთვლით, რომ საშუალება მოგვცა, მონაწილეობა მივიღოთ „დინამოს“ აღორძინებაში.

— როგორ მოხდა „დინამოსთან“ ბადრი პატარკაციშვილის დაკავშირება? კახა თარგამაძე: პიროვნება, რომელმაც პირველი ნაბიჯი გადადგა „დინამოს“ ასაღორძინებლად, ბადრი პატარკაციშვილი გახლდათ. თებერვალში, როცა ბადრის ახლოს არ ვიცნობდი, სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩემთან მოვიდა. საუბრისას „დინამოზე“ ჩამომიგდო სიტყვა, მკითხა, რა სიტუაცია იყო ამ გუნდში. ცხადია, ყველაფერი ავუსხენი, ისიც ვუთხარი, რომ ერთ-ერთი ქართული ბანკიდან 24-პროცენტიაანი კრედიტი ავიღეთ, რათა ის დავალიანება დაგვეფარა, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაში „დინამოს“ ფიფას სანქციები არ ასცდებოდა. პატარკაციშვილს ვუთხარი, ამხელა პროცენტიაანი სესხი ავიღეთ, გუნდში ბევრი ფინანსური პრობლემა მოსავარებელი, ბიუჯეტის თანხების ხარჯვის ლიმიტი კი 3 200 000 ლარია წლის განმავლობაში, რაც საკმარისი არ არის-მეთქი და ვთხოვე, თუ შეეძლო, ისეთი ბანკი მოეძებნა, რომელიც, ვთქვით, მ-პროცენტიაანი კრედიტს გამოგვიყოფდა. ჩათვალეთ, კრედიტი ნამოგონია, თანაც უპროცენტო — მიპასუხა პატარკაციშვილმა.

პატარკაციშვილი საქართველოს მოქალაქეა და იმ საკითხებზე, რომელსაც მას ედავებიან, ჩვენ უკვე მივმართეთ რუსეთის მხარეს, რათა ის საქმე ჩვენთან გადმოგზავნონ. პატარკაციშვილი ინტერპოლის მიერ ძებნილი არ არის და საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაში წერია, რომ საქართველოს მოქალაქის გადაცემა რუსეთისთვის აკრძალულია, ამას ჩვენი კონსტიტუციაც ითვალისწინებს. მით უმეტეს, ბრალდება პატარკაციშვილის წინააღმდეგ რეალურად არ არსებობს.

— მანამდე თუ ჰქონდა თქვენს კონსორციუმს ურთიერთობა საფეხბურთო ბიზნესთან? პიტერ ბონდი: ჩვენ სპორტის რამდენიმე სახეობით ვართ დაინტერესებული. მაგალითად, რაგბით, კრიკეტით, კალათბურთით, ფორმულა-1-ით, ამერი-

კული ფეხბურთით. კონკრეტულად კი ვერაფერს გეტყვით, რადგან ასეთ შეხვედრებზე ჩვენი კომერციული საქმიანობის დეტალებზე საუბარი მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

— „დინამოში“ ლეგიონერების მოწვევას არ აპირებთ? პიტერ ბონდი: საამისოდ საქართველოში შესაფერისი სიტუაცია ჯერ არ არის. ჩვენ გვინდა, შევინარჩუნოთ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი ტალანტი და „დინამო“ სრულყოფის ცენტრად ვაქციოთ. აღვადგინოთ „დინამო“,

— ვისი რჩევით დაითხოვეთ გუნდიდან პრეზიდენტი რევაზ არველაძე და მწვრთნელი, გორა ტყეზურავა და ნიკა ჩხეიძე? კახა თარგამაძე: ახალი მეპატრონის მოსვლასთან დაკავშირებით შეიკრიბა „დინამოს“ საბჭო, მოეწყო პარტნიორობა და მიიღო ეს გადაწყვეტილება. ასე რომ, აქ მხოლოდ ერთი მხარე არაფერ შუაშია. ეს იყო პარტნიორობა კრების გადაწყვეტილება. ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვთავს, წესი ასეთია. მე კვლავაც პარტნიორი ვარ, არსადაც არ წავსულვარ. პირადად ჩემს პოზიციას რაც შეეხება, სანამ მართლმე ვიყავი, არველაძე მუშაობდა „დინამოში“, მაგრამ მერე სიტუაცია შეიცვალა და...

პიტერ ბონდი: ასეთ შეხვედრაზე არ მსურს განვიხილო რომელიმე კონკრეტული პიროვნების საკითხი. რაც შეეხება კლუბის უმაღლეს მენეჯერულ თანამდებობებს, ვთვლი, როცა ახალ ინვესტორთა ჯგუფი შემოდის, მან სუფთა ფურცელზე უნდა დაიწყოს მუშაობა და ჩვენც ეს გავაკეთოთ. აქ არანაირი პირადული მომენტი არ არსებობს. ჩვენ ფაქტობრივად შევცვალეთ კლუბის კონსტიტუცია, გავუქმეთ პრეზიდენტის პოსტი, რადგან არ გვინდა, რომელიმე პიროვნება აღიქმებოდეს ისეთად, რომელსაც აბსოლუტური კონტროლი ექნებოდა კლუბზე.

შეხვედრის ბოლოს პიტერ ბონდმა ერთი მილიონი ლარის ჩეკი გადასცა „დინამოს“ აღმასრულებელ დირექტორ



საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე



საქართველოს პრეზიდენტი „დინამოს“ ძველი დიდებაც გაიხსენა

როგორც საქართველოს წამყვანი კლუბი, რომელიც საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანი იქნება. სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ, ჯერჯერობით ისეთი თბილისის „დინამოს“ ვერ ვხედავ, რომელიც უახლოეს მომავალში „იუვენტუსს“ დაამარცხებს, მაგრამ იმე-

გია ფირცხალავას და დასძინა: „ჩვენ უკვე საკმაოდ დიდი თანხა გავიღეთ. „დინამოს“ ფინანსური უზრუნველყოფა ძალიან მნიშვნელოვანია და ახლა, ამ ერთმილიონიანი ჩეკის გადაცემით მომდევნო ნაბიჯს ვდგამთ.“

ინგლისი
I დივიზიონი. XIII ტური
ვესტ ბრომვიჩი 0:2 მილუოლი

ფინეთი
XXX ტური
ჰაპა 1:1 ჰაპი

ბადრი აბთილაძის ფოტო

ბადრი აბთილაძის ფოტო

ნაბსაძემ სამი თვით ჩაიბუსლა



გიორგი ნემსაძე

მას შემდეგ რაც შოტლანდიური „დანიის“ ქართველი ნახევარმცველისთვის მუხლის ტკივილი აუტანელი შეიქნა, შვეიცარიამ ჩაიბუსლა, იქაურ ექიმებს გაეხსენა და იმედოვნებდა, რომ აპრილამდე მინც შესძლებდა თამაშს, ოპერაციას კი შოტლანდიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაიკეთებდა.

ნემსაძეს ნაქონისკარ მუხლში წყალი ჩაუდგა, ექიმებმა ჯერ თერაპიული მკურნალობა ურჩიეს. ახლა კი ფაქტია, რომ დანიისულმა არ უშველა. გიორგი ნემსაძე საქართველოს ნაკრებს 3 ოქტომბერს რუმინეთშიც შეუერთდა, მაგრამ მთელი დღის ვარჯიშისას ტრავმა გაუძიებდა და გუნდს ვერ უკაბიტანა.

— გადაწყვეტილია, საოპერაციო ვარ და სამი თვე ვერ ვითამაშებ. თავდაპირველად ოპერაციის გაკეთებას იტალიაში ვაპირებდი, მაგრამ მოულოდნელი პრობლემები შემიქმნა და სჯობს შვეიცარიაში ვიმკურნალო, სარეაბილიტაციო პერიოდსაც, ალბათ, იქვე ნაცნობ ექიმებთან გავივლი. მუხლი ახლაც მტკიავს, დავდივარ, მაგრამ ტუნდული მიჭირს. ძალიან სერიოზული ტრავმა მაქვს და იმედია იანვრიდან მინც განვახლებ თამაშს — გვითხრა ნემსაძემ, როცა შოტლანდიაში ტელეფონით დაუკავშირდით.

ნაკრების კაპიტანი „დანიის“ ვარჯიშს, ალბათ, დეკემბერში შეუდგება, იქამდე კი, იძულებულია დაისვენოს.

ამოა ინასარიძე

საპარტიველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე სამი თვე ვერ ითამაშებს. როგორც ადრე გაუწყვეთ, ის ტრავმირებულია, მუხლი აქვს საოპერაციო.

ფრუიკის ექსპრესი: ლანჩუთი — ქუთაისი

ბუშინე ჩემპიონ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ერთი საზრიანი და მადლიანი გადაწყვეტილება მიიღო — სამშაბათს ლანჩუთის „გურიადან“ წამოხული ქუთაისელი სოსო ფრუიკე მწვრთნელად მშობლიური ქალაქის გუნდში დაინიშნა.

უმუშევარი რად უნდა დარჩე, ჩვენთან მობრძანდი — უოქვამთ ფრუიკისთვის და რევაზ მოძუაშვილის თანამშრომლის პოსტი ჩაუბარებიათ. მოკლედ, მოძუაშვილს ამ ცოტა ხანში ორი ახალი დამხმარე დაუნიშნეს. კვირის დასაწყისში „ტორპედოში“ ნოდარ ჭვლედიც მივიდა. სოსო ფრუიკის დროინდელი „ტორპედო“ ურიგო ფეხბურთს როდი თამაშობდა. მანვე აზიარა რიონისპირელები ევროსარბიულს. სომხური ერებუნის ნი, ლი ძლევის შემდეგ ინტერტოტოს მეორე ეტაპზე ბელგიურ „ლომელს“ სტუმრად 1:0 მოუგეს ქუთაისელებმა, შინ კი 1:2 დაეჭაგვრინენ.

ფრუიკეს გუშინვე პირველი საშუალო დღე ჰქონდა და საღორის ბაზაზე გუნდის წვრთნაშიც მონაწილეობდა. „სარბიულს“ კი ეს უთხრა — ლანჩუთიდან დღესაც შემეხსიანენ, მაგრამ არის რაღაც მომენტები, რამაც გუნდის დატოვება გადაწყვეტინა. „გურიას“ წარმატებებს ვუსურვებ, მე კი, უკვე ტორპედოელი ვარო.

ბაგუა კვანცალიანი

გაბელია გაბოცდის ირჩებს

22 სექტემბერს თბილისის „მერანმა“ სტუმრად თანქალაქელ „ლოკომოტივთან“ დიდი ანგარიშით წააგო. დალოდნენ კლუბის თავკაცები, მაგრამ მთელი საწყენი ამბავი თამაშის შემდეგ შეიჭყვეს — მეკარე რევაზ ნაჭყვიას ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა.

ნაჭყვიამ დავით დათვადისთან შეჯახებისას მარჯვენა მუხლი დაიშავა, პირველადი დახმარების აღმოჩენისთანავე თამაში გააგრძელა და დაზიანებული მყესი კიდევ უფრო გაიმიხეზა.

„მაგას რა უთხარი, სეზონი დამატავრებინა“ — ჩიოდა გუშინ რევაზ ნაჭყვიას. შესიებული მუხლის მიუხედავად, მეკარემ „სინათლის“ მოედანს ხუთჯერ შემოუბრინა, თავი უკმაყოფილოდ გაქინა და გასახდელისკენ გაემშურა.

ნაჭყვიას არფოფანში ავტალელთა კარს ოთარ გაბელიას ვაჟი გიორგი იცავდა. ნიჭიერი ბიჭია უმცროსი გაბელია, მაგრამ დიდი ხნის უთამაშებელი საუკეთესო ფორმაში არ არის. არადა, ხვალ „მერანს“ პრინციპული საშინაო შეხვედრა ელის ფოთის „კოლხეთთან“.

უფროსი გაბელია საბოლოო არჩევანს, ალბათ, დღეს გააკეთებს, მაგრამ ხვალინდელ მატჩში მასპინძელთა მეკარის გამოცნობა საძნელო საქმე არ უნდა იყოს. ავტალელთა რიგებში მეცამეტე ეროვნულში, ალბათ, პირველად გამოჩნდება აკაკი დევაძე წინა ტურში ეროვნული გუნდის ყოფილი მეკარე „მერანის“ სათადაროებთან ერთად ივდა ქუთაისის სტადიონზე.

ოთარ გაბელიას თქმით, იდეალურ ფორმაში არც დევაძე, მას თურმე რამ-



აკაკი დევაძე

დენიმე ზედმეტი კილოგრამი ამძიებს, მაგრამ კაკო გამოცდილია და მისი იმედია მაქვსო. მამ ასე, ხვალ დევაძის ხელმეორე დებიუტია ავტალში.

დათო დანიელი



შოთამ გლახოში გატანით დაიწყო

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევმა ტურმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები მისწი-მოსწია და უქმეებიდან შუა კვირაში გადაიტანა. ზოგან ტური ჩატარდა, ზოგან თასის შეხვედრები, ზოგან კი არც არაფერი.

კვირის მთავარი თემა, ცხადია კახა კალაძის ამბავია. თურქ მწვრთნელ ფათიკ თერიმთან გართულებული ურთიერთობა მის მიღწერ მომავალს ბუნდოვანს ხდის. კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კალაძეს არ გაყი-

შოთლანდიური პაპუნი ზოგი პარგი, ზოგიც საწყენი

დანი, მაგრამ ვინ იცის, საქმე როგორ მობრუნდება.

შოტლანდიური ერთი კარგი და ერთიც საწყენი ამბავია. გლაზგოს „რეინჯერსში“ შოთა არველაძის დებიუტი ჩინებული გამოდგა. ლიგის თასის მატჩში „რედის“ ქართველმა ორი გოლი გაუტანა და პროტესტანტები ფრიად გაახარა. საქართველოს ნაკრების დამაველებელი კაპიტანი გიორგი ნემსაძე კი „დანიის“ სამი თვე ვერ დაეხმარება. მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ ამის თაობაზე გუშინ განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ნემსაძემ ტრავმის გამო რუმინეთთან შესარჩევი მატჩიც გამოტოვა.

ინგლისში რატი ალექსიძე „ქოვენთონისთან“ ლიგის თასის შეხვედრაში არ გამოჩნდა. რატიმ გუშინწინ სეზონში პირველად ითამაშა „ჩელსის“ სათადარიგო გუნდში და თავისიანებს მოაგებინა კიდევ „ნოტინგემ ფორესტის“ რეზერვებთან შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა, როცა ქართველმა მოწინააღმდეგეს მთელი გოლი გაუტანა და თამაში 2:0 დამთავრდა. ჩელსელმა სათადარიგოებმა წლეულს პირველად გაიმარჯვეს.

შვეიცარიაში, როგორც იქნა, მიიგო

„ციურიხში“. „ლონასისთან“ დასაბუთ მატჩში ქრიადრიტი ბურჩია მანჯილ გაეცლაშვილია შედლო. ეს მიმას მეტსრუგალი გახლდათ წლევეანდელ ჩემპიონატში. ბომბარდირთა დავაში ქართველი ჯერჯერობით ისევ ბაზელელ ზიმენსსა და გრასპოპერელ ნუნენს ჩამორჩება.

მიხეილ აშვეთიამ ვარჯიშისას ტრავმა მიიღია და ამ მიზეზით ორი მინუტენლოვანი შეხვედრა გამოტოვა. მისმა „კოპენჰაგენმა“ კი ჯერ დანიის სუპერფინალში „სილკებორგს“ მოუგო, მერე კი ჩემპიონატში „ორჰუსი“ გაანადგურა. ორივე ბრძოლა დედაქალაქელებმა მშობლიურ „პარკენის“ სტადიონზე ჩატარეს.

რუსეთის უმაღლეს ლიგაში წლეულს პირველად ითამაშა „როსტოვლამის“ მეკარე დავით ხმელიძემ. როსტოველებმა ედიკ საჯაიას „ტორპედოს“ 5:2 მოუგეს შინ. რუსი ურნალოისტების თქმით, დათო ზედმეტად ნერვიულობდა და რამდენიმე შეცდომა დაუშვა. „სპორტ ექსპრესმა“ ის ხუთნახევარი ქულით შეაფასა, საჯაიას კი ხუთიანი დაუწერა. გამოდის, ორივეს სამუალოდ უთამაშია.

სოლომონ ბულიაშვილი

სახელი გვარი	გუნდი	სად მეტოქე	წი შენიშვნა	თ	გ	ა
ინგლისი. ლიგის თასის მესამე ეტაპი						
რატი ალექსიძე	ჩელსი	ს ქოვენთონი 2:0	0		0	0
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს ფულემი 2:5	0		1	1
შოტლანდია. ლიგის თასის მერვედიანი						
გიორგი ნემსაძე	დანდი	ს როს ქაუნთი 1:2	0	ტრავმირებულია	0	0
ზურაბ ხიზანიშვილი	დანდი	ს როს ქაუნთი 1:2	90		2	0
შოთა არველაძე	რენჯერსი	შ ერდრი 3:0	83	2 გოლი, შეცვალეს	1	2
იტალია. სერია B						
დავით დიდელაშვილი	სიენა	ს კალიარი 1:1	0	სათადარიგო	1	0
ლევან მელქაძე	სიენა	ს კალიარი 1:1	0	განაცხადში ვერ მოხვდა	0	0
ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი						
გიორგი დემეტრაძე	სოსიედადი	ს სარაგოსა 2:3	0		4	0
	სოსიედადი	შ სევილია 3:3	45	1 გოლი, შეცვალეს	5	1
ესპანეთი. თასის პირველი ეტაპი						
გიორგი დემეტრაძე	სოსიედადი	ს ოსპიტალეტე 1:2	90		1	0
კოლნია. უმაღლესი ლიგა						
გოგა გაბოცე	ჰეინდოფენი	ს ალკმარი 1:1	0		6	0
ბელგია. უმაღლესი დივიზიონი						
გელა შევილაძე	ლიერსი	შ ბროუგე 0:2	0		4	0
მამუკა ნერეთელი	ლიერსი	შ ბროუგე 0:2	0		2	0
შვეიცარია. უმაღლესი დივიზიონი						
გოზა ჯამარაული	ციურიხი	შ ლოზანა 1:0	90		11	1
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	შ ლოზანა 1:0	83	1 გოლი, შეცვალეს	12	9
ლევან ხომერიკი	აარაუ	შ სიონი 2:2	0		0	0
ავსტრია. უმაღლესი ლიგა						
დავით მუჯირი	შტურმი	ს კერნტენი 0:2	0	სათადარიგო	3	0
დანი. სუპერთასი						
მიხეილ აშვეთია	კოპენჰაგენი	შ სილკებორგი 2:0	0	ტრავმირებულია	0	0
დანი. უმაღლესი ლიგა						
მიხეილ აშვეთია	კოპენჰაგენი	შ ორჰუსი 3:0	0	ტრავმირებულია	1	0
რუსეთი. უმაღლესი ლიგა						
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	ს ჩერნომორეცი 1:2	0	სათადარიგო	19	2
ვლადიმერ კაპაშვილი	ლოკომოტივი	ს ჩერნომორეცი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0
ოთარ ხიზანიშვილი	როსტოვლამი	შ ტორპედო 5:2	0	განაცხადში ვერ მოხვდა	4	0
დავით ხმელიძე	როსტოვლამი	შ ტორპედო 5:2	90		1	-2
კახა მყავანაძე	სპარტაკი	ს ტური გამოტოვა			3	0
დავით ქოქაშვილი	სპარტაკი	ს ტური გამოტოვა			0	0
პაატა ჯინჭარაძე	სოკოლი	ს ზენიტი 0:1	0		0	0
ედიკ საჯაია	ტორედო	ს როსტოვლამი 2:5	90		3	0
რუსეთი. პირველი ლიგა						
ზვიად ჯვალაძე	ბალტიკა	შ მეტალურგი 2:2	90		9	1
გიზო ჯვალაძე	ბალტიკა	შ მეტალურგი 2:2	90		21	0
თენგიზ სიჭინავა	ბალტიკა	შ მეტალურგი 2:2	90		7	1
თეიმურაზ გადელია	კრისტალი	ს ამკარი 1:1	90		21	4
ოური გაბისკირია	სპარტაკი	ს სიმი 1:3	0		12	0
ნიკოლოზ ტოგონიძე	ტომი	შ ნეფტჩიმიკი 2:0	0		2	-2
უკრაინა. უმაღლესი ლიგა						
გოზა ტრაპაძე	ტაურია	ს მეტ. დონეცი 1:4	90		11	1
ვასილ გიგიაძე	ტაურია	ს მეტ. დონეცი 1:4	90	გააფრთხილეს	11	3
სოსო გიგიაძე	ტაურია	ს მეტ. დონეცი 1:4	0		0	0
შოთა ჩომასიძე	ტაურია	ს მეტ. დონეცი 1:4	90		10	1
ლევან მიქაძე	ცსკა	შ ზაპოროჟიე 2:0	90		10	0
აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა						
ამირან მუჯირი	მარეკი	შ სლაგია 1:0	90	გააფრთხილეს	4	0
ლატვია. უმაღლესი ლიგა						
ალექსანდრე რეზიაშვილი	სკონტო	ს ვენტსპილისი 2:3	90	გააფრთხილეს	13	1
ზურაბ მენთეშვილი	სკონტო	ს ვენტსპილისი 2:3	53	შეცვალეს	15	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს ვენტსპილისი 2:3	90		18	15
ლევან კორძალიძე	სკონტო	ს ვენტსპილისი 2:3	12	შეცვალეს ითამაშა	21	5
გივი კვარაცხელია	სკონტო	ს ვენტსპილისი 2:3	0		4	0
თამაზ პერტია	რიგა	ს ზიბენსი 5:1	68	შეცვალეს	9	0

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



ვის უღიბს პორტუგალია?



პორტუ — იუვენტუსი. მასპინძელი მარია სილვა (№30) და სტუმარი მარსელო სალასი

პორტუ ია იუვენტუსი
 პორტუ: ოფინიკოვი, იბარა, მარია სილვა, ანდრადე კარვალიუ, კოშტინია, ბარდესი (სოფრისტოვიჩი 70), დეკო სოუზა, კლუტერი, ნუნუ კაბუშუ (ბლენიჩი 77), პენა (პოსტიგა 66)
 მწვინელი: ოქტაიუ მარადუ
 იუვენტუსი: ბუფონი, ბორინდელი (პარამატი 5), ტურამი, მონტერო, პელოტი (ტენი 64), ძამაროტა, ტუდორი, ტაკინარდი, დევიდსი, სალასი (ფ. ონილი 84), დელ პიერო
 მწვინელი: მარსელო ლიბი
 მსაჯე: მანუელ მუხუტო გონსალესი (ესპანელი)
 38 000 მაყურებელი

„პორტუსთან“ სტუმრად უგოლო ფრემ „იუვენტუსი“ ქვეჯგუფში მეორე ადგილზე დაქვეითა.

ეს არ იყო ჩვენთვის კარგი მატჩი. განსაკუთრებით სუსტად პირველი ტაიმი ჩავატარეთ, შემდეგ ოდნავ გამოვასწორეთ, მაგრამ სამი ქულის აღება მაინც ვერ შევძელით. თუმცა, ჩემს გუნდს ძალიან არ გაეკარტიკებ. მართალია, ცდებოდნენ, მაგრამ იბრძოდნენ — განაცხადა ტურინელთა მწვინელმა მარსელო ლიბიმ, რომელიც ფრეს სამართლიან შედეგად მიიჩნევს — „მართალია, „პორტუს“ გატანის კარგი შანსები ჰქონდა, მაგრამ ბუფონმა იყოფა და კარი მშრალად შეინახა. საერთო ჯამში ფრე ლოგიკური იყო.“

„იუვენტუსმა“ მატჩი ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩაატარა. გუნდს დისკვალიფიცირებული ნდევდი და დაშავებული ტრეხეგე აკლდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ ბორინდელი მალევე გახდა შესაცვლელი და მე-15 წუთიდან მისი ადგილი პარამატიმ დაიკავა.

ყველაზე რეალური მომენტი პორტუელთაგან პენამ შექმნა, თუმცა ახლო მანძილიდან ზუსტად ბუფონს დაუმიზნა. წუთიც არ გასულა და ისევ პენა მოექცა ფურადლების ცენტრში, როცა მისი და პაოლო მონტეროს ორთაბრძოლა ბევრმა თერთმეტმეტრიანის დანიშნის ღირსად ცნო, თუმცა ესპანელმა მსაჯემ მეხუთო გონსალესმა პირველი ტაიმის მიწურულს „იუვენტუსი“ არ გაწირა.

ამის შემდეგ ტურინელებმა შექმნეს ორი მომენტი: ჯერ პარამატიმ, შემდეგ დელ პიერომ უნაყოფოდ შეუტყეს ოფინიკოვის კარს. გოლი არც მასპინძელ დეკოს დარტყმულს მოჰყოლია, ბუფონმა ისევ ივარგა. მანვე შეცვლაზე მოთამაშე პოსტივაც ტყვილად გასარჯა.

მატჩის მიწურულს მარსელო ლიბიმ მარსელო სალასი ფაბიენ ონილით შეცვალა, მაგრამ ურუგვაელს ხეირანად თამაშში ჩასაბმელად დრო არ ეყო.

REUTERS პორტუგალია

სელტიკი ი რუსენბორგი
 სელტიკი (21)
 რუსენბორგი: დევიდსი, ვალგერნი, ბალეი, ლამბერტი, იგალი, ლენონი, ს. ბეტროვი, შიკარი, დარსონა, ტრანსონი (ტამა 66), სატონი
 მწვინელი: მარტინ ონოლი
 რუსენბორგი: არასონი, ო. კოლმონი (ფ. ონილი 84), მ. ბორსენი, პოლტერი, მანმა, საბინენი, სვანდელსონი, ო. ბურგი, რ. სტრანდი, პრატბატი (ჯორჯი 74), რუსენბორგი
 მწვინელი: ნილს არნე ეგნი
 მსაჯე: ალან სარსი (საფრანგული)
 57 000 მაყურებელი

„რუსენბორგს“ მინიმალური სხვაობით მოუგო გლაზგოს „სელტიკმა“. ერთადერთი გოლი 21-ე წუთზე აღან ტომპსონმა გაიტანა. „ასტონ ვილას“ ყოფილმა ნახევარმცველმა, რომელმაც ჯარიმა დაარტყა ზუსტად, მატჩის შემდეგ თქვა, იორვე სამინაო ზუსტად მოვიგეთ. ახლა „პორტუს“ ვხვდებით და შევეცდებით, ჩვენი სიძლიერე იქაც დავამტკიცოთ.

„რუსენბორგმა“, რომელმაც ბოლო შეიძივე მატჩი წააგო სტუმრად, მხოლოდ ერთი-ორი მომენტი შექმნა „სელტიკის“ კართან. მათმა მწვინელმა ნილს არნე ეგენმა აღიარა კიდევ, მასპინძლების გამარჯვება სამართლიანი იყო, რადგან საგოლე შანსი თითქმის არ გვქონიაო. ეგენმა შოტლანდიელები შეაქო კიდევ, „სელტიკი“ ეგროპის ინტარულ კლუბთა შორის ყოფნას იმსახურებსო. ერთი სიტყვით, „სელტიკი“ ეგენს ქებას, ნორვეგიელები კი სქოთებს დიდი ანგარიშით არწავებებს უნდა უმადლოდნენ.

გლაზგოელთა ნახევარმცველმა სტილიან პეტროვმა ეს თქვა: „კარგი გუნდი გვყავს, ორი საშინაო თამაში მოვიგეთ. ვთვლი, რომ „იუვენტუსთანაც“ ვიმსახურებდით, სულ მცირე, ქულას ჩვენს მიღმა ჩვენზე გულშემატკივარი ღვას და მათთვის ვთამაშობთ. ჯგუფის სათავეშიც მათთვისვე მოვექცით“.

მეორე ეტაპზე გასვლაზე ლაპარაკი ნადრევია, თუმცა ჩემს გუნდზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, საოცრად მიზანწრაფულია და თუ ფორტუნამ არ დაგვალაგა, საქმე ცუდად არ უნდა გვექნეს. მომდევნო მატჩი რთული იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ — განაცხადა „სელტიკის“ მწვინელმა მარტინ ონილმა, რომელიც ახლა პორტუში ჩასასვლელად ემზადება.

ნიტო შუბლაქი

სელტიკი	3	2	0	1	4:3	6
იუვენტუსი	3	1	2	0	4:3	5
პორტუ	3	1	1	1	2:2	4
რუსენბორგი	3	0	1	2	2:4	1

ბარსელონა 2:0 ლიონი

ნი კლუივერტი (78), 2:0 რივალდო (86)
 ბარსელონა: ბონინო, გაბრი, პუიოლი, ფ. დე ბური, კოკო, საგი, კოკუ, ლუის ენრიკე (მოტა 90), ჯოვანი (საგიოლა 46), რივალდო (რაიციტერი 88), კლუივერტი
 მწვინელი: კარლოს რეკანი
 ლიონი: კუბუ, დეფლანდრე, ედმილსონი, კასაბა, ბრეგუ, ფოე, მიულერი, ლეგო, ლინარესი (დელმოტი 83), ს. ანდერსონი (ლეინდოლა 49, ნე 84), გოგუ
 მწვინელი: ფაკ სანტანი
 მსაჯე: კომ-მითონი ნილსენი (დანია)
 75 000 მაყურებელი

„ტამპ ნოუს“ ჩემპიონთა ლიგა წლეულს პირველად ესტუმრა. გულშემატკივრებს პირველ გოლამდე ლიონი კარგა ხანს მოუხდათ, მაგრამ თითქმის შეხვედრის ბოლომდე დაბაბული მასპინძლები კლუივერტის გოლმა ამოასუნთქა.

სერხის, კრისტინგალისა და პატრიკ ანდერსონის არყოფნაში კარლოს რეკანი ტაქტიკის შეცვლა მოუხდა, დაცვის ცენტრში პუიოლი გაამწესა, რომელმაც მწვინელს იმედი გაუმართლა. უჩვეულო პოზიციებზე თამაშობდა კლუივერტიც, შეტევებში მოედნის სიღრმიდან, ლამის სურინამიდან ერთვებოდა. წინაწეული უფრო რივალდო იყო, ფლანგებიდან კი იტალიელი კოკო და ბრაზილიელი ჯოვანი დეიბერსონი აქტიურობდნენ. რივალდო, ჩილესთან გატანილი გოლის შემდეგ, ეტყობა, იშტაზე იყო და ფრანგ მცველებს წარამარა აწიკებდა. დებიუტშივე მის ასეთ თამაშს კინაღამ გოლი მოჰყვა. სტუმართა მცველი კასაბა ოთხშაბათ საღამოს ისე თამაშობდა, თითქოს ნაბახუსევი იყო. უკვე მეორე წუთზე „ბარსას“ მეათე ნომრისგან შევიწროებულმა კასაბამ ბურთი მეკარეს დაუბრუნა, უფრო სწორად კი, თავზე გადაუგდო. ოდნავ წინ გამოსული კუპე, ბურთს გაეკიდა და ხელით რომ ვეღარ შესწვდა, ნახტომში თავი ამოჰკრა. ხარისხიდან ასწვტილს რივალდომე მიუსწრო და მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა... სტუმართა მეკარეს, რომელიც ბურთს ახლა იქ დაუხვდა.

საერთოდ, კუპეს დიდი ჯაფა დაადგა თანაგუნდელი მცველების შეცდომების გამო, რაც პირველ ტაიმში მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს.

აი, „ლიონს“ კი შესვენებამდე საგოლე მომენტი არც ჰქონია.

მეორე ტაიმში „ბარსელონას“ შეტევებს სიმწვავე ჯოვანის ნაცვლად მოთამაშე ხავერ სავიოლამ შეჰმატა. რივალდომ ოდნავ უკან, მოედნის სიღრმისკენ გადაინაცვლა, კლუივერტმა კი წინ წაიწია. და მაინც, ასეთმა უშიშვნელო გადაადგილებებმა მასპინძლები ვერაფერით ახერია. პირიქით, სიღრე გოვუმ „ბარსას“ კარში ნადლი

თავით გამოტანილი თავითვე გაიტანეს

გასატანი ვერ გაიტანა. ეს იყო ერთადერთი საგოლე მომენტი, რომელიც ფრანგებმა შექმნეს. მატჩის დასრულებამდე თორმეტი წუთით ადრე კი „კამპ ნოუს“ შეტევილით გოლის ნახვა ელირსათ. ხავიმ საჯარიმოში შეჭრილ კლუივერტს გამოზომილი პასით ბურთი თავზე დასვდა, პოლანდიელმა სიმაღლე გამოიყენა და მცველთან ჭიდილში კუპეს ლამაზი თავური გაუტანა. აქედან რვა წუთში საჯარიმოში კლუივერტი თითქოს სტუმართა მცველმა წააქცია, რაც თერთმეტმეტრიანის დასანიშნად საქმარისი გამოდგა. ბურთთან ბარსელონელთა კერპი, რივალდო მივიდა, თავისი ცაცია დონივრად მოიქნია და საბოლოო წერტილიც დასვა.

ლევერკუზენი 2:1 ვინეზაპრე
 0:1 რევიო (6), 1:1 ლუსიო (36), 2:1 ბალაკი (69)
 ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლანტე, ბალაკი, რამელი, ბამბურჯი, ზე ნოვოტნი (ფრანკი 90), კირსტენი (სებესკენი 86), ნოვილი (ბერბატოვი 68)
 მწვინელი: კლას ტომპილიერი
 ვინეზაპრე: რუმოუ მერინი, ოკიონი (ნაბი 79), მიკოვიჩი, რამბინი, რევიო (ბაირაქთარი 64), უმით ოზალი, ლაზუ ტიჩი (კოუნუმი 79), აბდულა, აქდენილი, ს. ჯონსონი
 მწვინელი: მუსტაფა დენიზლი
 გაიტყვბა: ჯონსონი (37)
 მსაჯე: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
 22 500 მაყურებელი

„ვინეზაპრემ“ კინაღამ მოიგო. 37-ე წუთზე ჯონსონი რომ არ გაეიტყვებინათ, იქნებ არც



ბარსელონა — ლიონი. კატალონიელთა ორი მეგობრე პატრიკ კლუივერტი და რივალდო

წაეგო. მაგრამ ჯონსონმა ნახევარი საათის შუალედში ორჯერ ძალიან იუხემა და თურქები კაცნაკლული დატოვა. ამ მომენტისთვის მასპინძლებს საპასუხო ბურთი უკვე გაეტანათ და აქედან მოყოლებული, რაღა თქმა უნდა, მოგებას ლამობდნენ.

თავიდან კი სტუმრები დაწინაურდნენ. შეტევით გართულმა გერმანელებმა ცენტრთან ახლოს ბურთი დაკარგეს, რომელსაც რევიო დაეუფლა. საჯარიმოთან მიახლოებულმა ებრაელმა ფორვარდმა წინგაბოხსულ პანს ორჯერ ბუტს მართლაც ლამაზი ბურთი გაუტანა. გერმანულ მანქანას გასათანაბრებლად ოცდაათი წუთი დასჭირდა.

როგორც ყოველთვის, სასარგებლო იყო ბალაკი. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა გოლიც: საჯარიმის წინა სახიან, მცველებთან ჭიდილში ბურთი ქუსლით ლუსიოს დაუგორა და ბრაზილიელმა ისეთი დაჰკრა, რუმოუ უშანსოდ დატოვა. „ვინეზაპრეს“ მოთამაშე ამის შემდეგ გაუტყვეს ტაიმის მიწურულს კი მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტის შექმნაც მოასწრეს, თუმცა პირველი ნახევარი მაინც ფრედ დასრულდა.

თამაში ათიოდ წუთის განახლებული იყო, როცა მარცხენა ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი იმ დღეს ძალიან აქტიურობდა მოთამაშე კრისტენმა ბალაკს თავით დაუგდო. ამან კი მიწაზე დაუშვებლად, ახლო მანძილიდან მაღალ კუთხეში გამარჯვებისა გაუტანა რუმოუს.

რამდენიმე სიტყვა აუცილებლად უნდა ვთქვათ კლას ტომპილიერის გუნდზე მართალია, „ლევერკუზენი“ მარშანაც ასეთივე ძლიერი იყო, მაგრამ ამჟამად „ბაიერი“ თუ რამით გამოირჩევა, ეს სტაბილურობაა. სეზონის დაწყებიდან გერმანელები ვერ არ დამარცხებულან: რვა წაუტყველი ტური ბუნდესლიგაში და სამი უღანაკარგო მატჩი ჩემპიონთა ლიგაში.

არადა, „ლევერკუზენი“ თავდაპირველად წინა ტურში, „ბარსელონასთანაც“ ავბდა, შემდეგ კი გამარჯვება შეძლო. ესეც მათ განსაკუთრებულ ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს.

რაც შეეხებათ თურქებს, იმითაა თუ დაიმშვიდებენ თავს, რომ „ლაციოსავით“ უქულონი არიან.

მასა ხუციშვილი

ლევერკუზენი	3	3	0	0	5:2	9
ბარსელონა	3	2	0	1	6:2	6
ლიონი	3	1	0	2	1:3	3
ფენერბაჩი	3	0	0	3	1:6	0

GREEK BECKS 2

David does 'em again

დევიდ ბექსმა ბერძენი ნაერბებიც დაიხატა და კლუბშიც ოლიმპიკოსი 0:2 მანჩესტერ

დევიდ ბექსმა ბერძენი ნაერბებიც დაიხატა და კლუბშიც ოლიმპიკოსი 0:2 მანჩესტერ

0:1 ბექსი (66), 0:2 კოული (82)

ოლიმპიკოსი: ელფინგორგოსი, ბაცცილოვ, ანტოლოკისი, ვენტილინი, იანაკოპოლასი, კარამუნო, ბერნუევი, ზეტირბერგი (ნიინადისი 66), მ. ჯორჯევიჩი (ალექსანდრისი 81), კოსტოლასი (ოფორი კუბე 70), ჯოვანი

მანჩესტერ: ბარტენი, გ. ნევილი, რ. იონსონი, ბლანი, ირვინი, კინი, ბექსი, ვერონი (ენდი კოული 80), გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (სოლსკაიერი 85)

მწვინელი: ბლესი ფერგუსონი

მსაჯე: გრაციანო ჩეზარი (იტალია)

71 500 მყურებელი

სხვა შინ — ბექსი!

გუნდმა 2:0 მოიგო. „ოლიმპიკოსმა“ კი ამგვარად ჩემპიონთა ლიგაში 13-მატიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. სერ ალექსი იმითაც იყო კმაყოფილი, რომ ტრავმის შემდეგ გუნდს რაიან გიგზი დაუბრუნდა, მთელი მატჩი ჩაატარა, დევიდიც ზუსტი პასით სწორედ მან დატოვა მეკარესთან პირისპირ, როცა პირველი გოლი გავიდა.

„ეს იყო დევიდ ბექსი. სხვა ვინ იქნებოდა?“ — ასეთი იყო გაზეთ „სანის“ პირველივე კომენტარი მოგებულ მატჩზე. თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა: „ოქროსფერი ფორმით ვითამაშეთ და ოქროს გოლიც გავიდა“. იმ დღეს „წითელი ემპაკები“ მათთვის მართლაც უჩვეულო მასშტაბით გავიდნენ მოედანზე და ჩემპიონთა ლიგის ბოლო 11 მატჩში სტუმრად მეორედ მოიგეს.

ენდი კოული მოედანზე მე-80 წუთზე შევიდა და მხოლოდ ორი წუთი დასჭირდა გოლის გასატანად. ამ გოლში რუდ ვან ნისტელროის წვლილი არ უნდა დავივიწყოთ, რადგან კოული ჩინებული პასით სწორედ მან დატოვა საგოლე პოზიციაში.

თუ ვინმეზეა სათქმელი, ბერძენთა მეკარე ელფინგორგოსზე. მართალია, ორი გოლი გაუშვა, მაგრამ მისი დიდი დამსახურებაა, „ოლიმპიკოსი“ დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდა. მეკარემ ჯერ გიგზის თავური მოიგვრია, შემდეგ კი, სქოულზსა და ვან ნისტელროის არ გაატანინა.

ორი კარგი მომენტი ჰქონდა ვერონს, ორჯერვე გიგზის პასით, თუმცა ჯერ კარს ააცილა, მერე კი მისი დარტყმული ბერძენთა მეკარემ მოიგვრია.

27-ე წუთზე ფაბიენ ბარტენის ჯერიც დადგა. თუგოსლაგიელი პრედრავ ჯორჯევიჩის პასის შემდეგ ერთი-ერთზე გასული იანაკოპოლოსი ფრანგმა მეკარემ შეაჩერა.

საერთო ჯამში კი „მანჩესტერი“ უფრო მეტს უტყვევდა, მოგება სრულიად დამსახურა და ისიც სამართლიანია, რომ ახლა პირველ ადგილზეა.

დევიდ ბექსზე კი ისიც უნდა ვთქვათ, რომ ათენში გატანილი მისთვის მეშვიდე გოლი იყო ახალდაწყებულ სეზონში. იმავე გაზეთ „სანის“ ცნობით, მას ასეთი კარგი სტარტი ჯერ არ ჰქონია.

ლილი H დეპორტივო

0:1 ვალერიანი (49), H ოლუფადე (86)

ლილი: უნიკე ვერო, სიგანი, ფაბი, ბიპო, შუიუ (ბურბატი 77) და მყო, ნდია, ლანდერი (ბასილი 60), სტროუსკი (ოლუფადე 76), ბაკარი

მწვინელი: ვაზილ ბალილოვიჩი

დეპორტივო: მოლინი, რომერო, დონატო, ნიბუტო, ეტორი, ემერსონი, პანდინი, ფიტორი (სკალინი 71), დუშური, ფრანი (ამბესკა 65), ვალერიანი (სერბიო 78)

მწვინელი: სვიფერ ირვინი

მსაჯე: კლაუს ბო ლარსონი (დანია)

40 000 მყურებელი

„დეპორტივო“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ლილით“. ორი ქულის დაკარგვამ გალისიელები მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა. არადა, ესპანურ კლუბს მხოლოდ რამდენიმე წუთი გააკლდა გამარჯვებამდე. მეორე ტაიმის დებიუტში ზუან კარლოს ვალერიონმა ინდივიდუალური გარდევეა გოლით დააგვირგვინა, მანამდე კი სამი ფრანგი



ლილი — დეპორტივო. ფრანგი აბდელილა ფაბი (№4) და ესპანელთა ბრაზილიელი ემერსონი

ნიტა უზულაპი

მანჩესტერი	3	2	0	1	4:2	6
დეპორტივო	3	1	2	0	5:4	5
ლილი	3	1	1	1	4:3	4
ოლიმპიკოსი	3	0	1	2	3:7	1

სპარტა 2:0 სპარტაკი

1:0 კინილი (57), 2:0 სიონო (88)

სპარტა: მ. ჩეხი, გრეგორა, პუშმანი, ირვი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონო, მაშეკი, იაროშეკი, მიხალიკი (ზულენკა 61), მარტიკი (კოლუბი 80), კინილი (ბაბუშეკი 90)

მწვინელი: იაროსლავ პრებიკი

სპარტაკი: ლევიცი, კოლუბი, ანანო, მიტრეკი, პარფიო-ნოვი, ბარანოვი, ბულბული, ტიტოვი, ბურნოვი (ცხმეის-ტრუკი 57), ბუქსანტინი, რომანი (ლოფევი 61)

მწვინელი: ოლეგ რომანოვი

მსაჯე: ერიკ ბულა (საფრანგეთი)

17 221 მყურებელი

ჩემპიონთა ლიგის პირველი, ჯგუფური ეტაპის ნახევარი H ჯგუფში უჩვეულოდ მიიწერა სატურნორი ცხრილის პრადის „სპარტა“ უღვას სათავეში.

„სპარტაკის“ ძლიერს შემდეგ ჩემპიონთა ლიგის განხორციელება იაროსლავ პრებიკს. აქვთ კიდევ სამი საფუძველი, ხუმრობა ხომ არაა, მათ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის განხორციელება სამ მატჩში გოლი არ გაუშვია და ჯერჯერობით ისეთ საფეხურით მოხსტრს სკობინის, როგორცაა მიუნხენის „ბაიერნი“.

ოთხშაბათის მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „სპარტას“ გამარჯვების რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი არა აქვს. პერიოდული პრესინგი და მეტოქის თითოეული შეცდომის გამოყენება, ერთი შეხედვით, სოლიდური მარაგი არაა უმაღლესი რანგის მატჩის მოსაგებად, მაგრამ „სპარტაკს“ ესეც ეყო.

რუსებს კი საწუწუნო არ დაელოდა: ამერიკაში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო 12 სექტემბერს „სპარტასთან“ დაგეგმილი მატჩის 10 ოქტომბერს გადატანა არანაყოფიერებდა და ახლა ჩვენი გუნდი. მიზეზს არ იკითხავთ, რომანოვიც „წითლები“ მაშინ ჩარტრული რეისით გაემგზავრნენ ჩემპიონთა ლიგის 250-მდე ქომაგი იახლეს, ამჯერად კი რუსებს ჩარტრისთვის ვერ მოუბამთ თავი და გუმინწინდელ მატჩში მხოლოდ 100-მდე გულშემატკივარს დაუჭერია „სპარტაკისთვის“ მხარი. რუსები იმასაც აღნიშნავენ, რომ სექტემბერში ტრავმირებული რამდენიმე ჩემპიონთა ლიგის სრულ მზადყოფნაში შეხვდა 10 ოქტომბერს რომანოვიცის სამწესოს რბევას.

არადა, რუსებს იმის თქმა დაავიწყდათ, რომ „სახალხო გუნდი“ გამორჩევით ძლიერი შემოღობვაზეა, მაგრამ თუ განვლილი მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, „სპარტაკი“ სახალხოდ შერცხვა და ფაქტობრივად მოისპო ჯგუფიდან გადწევის შანსი. სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში რეალურად ერთადერთხელ — 28-ე წუთზე გაიწიეს პეტერ ჩეხის კარისკენ, როცა ორ მცველს

სლავეური სპარტაკი

შორის მოქცეულმა ბესნასტინმა საჯარიმოში შეჭრილ ტიტოვს ფეხზე დაასვა ბურთი, მან კი 9 მეტრიდან უხეიროდ დაარტყა. დანარჩენ დროს მასპინძლებს ეპყრათ მატჩის სადავეები ხელთ და თუკი პირველ ტაიმში იაროსლავ პრებიკის შეგირდებმა ვერაფრით მოარგეს გასაღები არცთუ ურიგოდ მოთამაშე მაქსიმ ლევიციის კარს, მეორე ნახევარში სიტა გააცალეს სტუმრებს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

პირველად 57-ე წუთზე შეცდა ლევიციმ, როცა ახლო მანძილიდან წაქცეული კინილის სუსტად დარტყმული ბურთი ფეხებში გაატარა, მატჩის ბოლოს კი, სანამ ჩეხთა საჯარიმოში საკუთარი ინიციატივით წაქცეული ბესნასტინი პენალტს ითხოვდა, მასპინძლებმა სწრაფი კონტრიკიში განახორციელეს. ვიდრე სინკო გადაწყვეტ, საგოლე დარტყმას შესრულებდა, ბურთს უკანასკნელად იური კოვტუნი შეეხო. საგოლე პასის გარდა უხეშმა რუსმა მცველმა ტრადიციას არ უღალატა და ვინ იცის, მერამდღე ბარათი შემატა თავის ყვეთელ კოლეგებს.

ფიფინოორი 2:2 ბაიერი

0:1 ელბერი (38), H ვან ჰოიდონკი (38), 2:1 ტომასონი (45), 2:2 ელბერი (50)

ფიფინოორი: ზუტეირი, ემერსონი, ვან ვინდერენი, დე პანი, რეასა (ვან პარენი 66), ბოსველტი, კოლერი, ტომასონი, ბუფე, კალუ (იონი 74), ვან ჰოიდონკი

მწვინელი: ბურტ ვან მარვიკი

ბაიერი: კანი, სანიოლი, კოფური, რ. კოფაი, ლიზარაზუ, სალიმბიჯი, ტიამი (პარგრევი 46), ფინვი (სფორცა 84), პაულო სერვიო, ელბერი (სანტა კრუზი 78), კ. მიხარო

მწვინელი: ოტმარ ბიფფელი

მსაჯე: ფილ ფესი (საფრანგეთი)

40 000 მყურებელი

სხვადასხვა ტაქტიკით ჩატარებულმა ორმა ტაიმმა ქულა და ჯგუფში მეორეობა დაუბევა ბავარიულ კლუბს.

კვლავაც მოუგებელი „ფეინოორი“ ჩემპიონთა ლიგის წლებადელი ჯგუფური ეტაპის მატჩში პირველად წარსდგა საკუთარი აუდიტორიის წინაშე და სასტარტო სასტვენისთანავე გააფთრებთ ეკვეთა მარმანდელი საფეხურით სეზონის შედეგების მიხედვით ევროპის უძლიერეს კლუბს.



ფეინოორი — ბაიერი. პიერ ვან ჰოიდონკი (მატხნი) და ბიქსენტ ლმბარაზუ

მასპინძელთა გააფთრებას მე-33 წუთზე გოლი მოჰყვა, ოლონდ ანგარიში ვერმანელებმა გახსნეს. ელბერი დოლაბივით დატრიალდა როტერდამელთა საჯარიმოში, მეტოქის ფეხი დაიხმარა და თავგზაბუნულ ზუტეირს ნება-ნება შეუვლოა კარში ბურთი.


გოლმა მასპინძლებს ფინი უფრო გაუღვივა, რასაც ბავარიელთა ინტერულობამაც შეუწყო ხელი. ოტმარ ბიფფელდის დამოძღვრებით მეტოქის შეცდომის იმედად იყვნენ და თამაშს ოდნავდაც არ ამწვავებდნენ. მათი იშვიათი კონტრშეტევებს კი ადვილად კითხულობდნენ პოლანდელი მცველები.

მასპინძელთა დაწოლამ პირველად 38-ე წუთზე გამოიღო „დე კოიზე“ შეყრილი 40 ათასამდე ქომაგის სასურველი შედეგი. ანგარიში პიერ ვან ჰოიდონკმა გაათანაბრა, როცა ბოსველტის ფლანგური გადაცემის შემდეგ ვარდნილი მლიერი დარტყმით დახვრიტა კანი. ტაიმიც თითქოს ამ შედეგით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მასინ, როცა ყველა მსაჯის სასტვენის მოლოდინში იყო, იონ დალ ტომსონმა დაიხვია საჯარიმოში ბავარიელი მცველები და 15 მეტრიდან მეორედ აიღო მიუნხენელთა კარი. სხვათა შორის, ამ გოლებამდე კანს განვლილ ხუთ მატჩში მხოლოდ ერთადერთი ბურთი გაეშვა.

აქამდეც არაერთხელ დამტკიცებულა, რომ „ბაიერი“ განსაკუთრებით საშიში მამინაა, როცა მარცხის წინაშე დგას. ამის დასტურად სრულიად განსხვავებული გუნდი დაუპირისპირდა მეორე ტაიმში „ფეინოორს“. „ბაიერი“ მთელი 45 წუთის განმავლობაში ბევრს უტყვევდა, გამოცოცხლებული ნახევარდაცვის წყალობით გერმანელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მანამდეც, სანამ ელბერი ანგარიშს გაათანაბრებდა ბრაზილიელის გოლი კი მართლაც ეფექტური გამოდგა. ზუტეირმა თვალთა გააყოლა ძელიდან ასხლებული კარში ტყვიასავით შემავალ ბურთს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის განვლილ სამ მატჩში ეს გოლი ელბერი-სთვის მეოთხე გამოდგა. მიუნხენელებს დარჩენილ 40 წუთშიც შეეძლოთ გატანა, მაგრამ „ფეინოორმა“ გაძლი და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

ბაბა კანტალიანი

სპარტა	3	2	1	0	6:0	7
ბაიერი	3	1	2	0	5:3	5
ფეინოორი	3	0	2	1	4:8	2
სპარტაკი	3	0	1	2	3:7	1



დევ ბასუტი „ლესტერის“ კრიზისიდან გამოყვანის შედეგად

პელო ტყიდან სოროვი

გადაწყდა „ლესტერის“ ფილიბერ სტრიტზე სამუშაოდ ახალი მწვრთნელი დევი ბასუტი მია. მძიმე შემთხვევებიდან დარჩა მას პიტერ ტეილორისგან, გუნდი კრიზისიდან უნდა გამოყვანოს და პრემიერლიგის ბოლო საფეხურის ააცილოს.

შეგახსენებთ, რომ იმავე მისის შესრულებაზე ტეილორის წასვლიდან დღემდე ორმა მწვრთნელმა პარი რედნამმა და ჯორჯ გრემმა თქვა უარი.

თავად ბასუტი შარშანდელი დეკემბრის შემდეგ უმუშევარია. ბოლოს კი, პირველი დღიდან „ბარნსლის“ თავკაცობდა. მანამდე ბასუტი „უემბლდონისა“ და „ნოტინგემ ფორესტის“ მესაველად უმუშავია. ახალ თავკაცს ახალ გუნდში მოადგილეც დასჭირდება და „ლესტერის“ ხელმძღვანელობამ ამასვე

იზრუნა, „ფილიბერ სტრიტზე“ ალბათ მიკი ადამსს მიიწვევენ, რომელიც „ნოტინგემ ფორესტში“ ბასეტის მარჯვენა ხელი იყო.
ბოლო მატჩი „მელიბემა“ ინგლისის ლიგის თასზე უმთავრეს მწვრთნელად „ლიდსთან“ ჩაატარეს და 0:6 წააგეს. ამ თამაშს ტრიბუნებიდან ბასეტის ადვანტიდა თვალს და მერე განაცხადა: „ამ გუნდში ზოგიერთ მოთამაშეს ავტორიტეტი აქვს. ეს შესაძლებელი იყო. ჩემთვის კი ფავორიტები არ არსებობენ. მე გუნდს მოსაგებად ვკრებ და იქ, შესაძლოა, ნებისმიერი მოხედეს ან ამოვარდეს. ერთი შეხედვით, კარგად ირეგება დენის უაიზი. მე მას „უემბლდონიდან“ ვიცი, თუმცა ახლა ამის გამო არ შემიძლია, მან იცის ჩემი ხასიათი“.

ნიკა შუბლაძე

ნარიჯისფერი გეგმები

პოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრების მწვრთნელ ლუის ვან გაალს სამომავლო გეგმების დროულად გარკვევა მოსთხოვა — ვან გაალმა უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა მოღვაწეობას „ნარიჯისფერთა“ ნაკრებში.

— ევრო 2004-თვის მზადებას მომავალი წლიდან უნდა შევუდგეთ — განაცხადა პოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ჰენკ კესლერმა — იანვარში შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა მოუწყობა, ამ დროისთვის კი უნდა ვიცოდეთ, ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი.

ევრო 2000-ის ნახევარფინალისტი პოლანდია, ყველასგან მოულოდნელად, ვან გაალის ხელმძღვანელობით საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა. მიუხედავად ამისა, „ნარიჯისფერები“ ძველ მწვრთნელთან კონტრაქტის გაწვევას არ აპირებენ. ხელშეკრულებით ვან გაალი ნაკრებს 2006 წლამდე უნდა ემსახუროს, მაგრამ კონტრაქტი იმასაც ითვალისწინებს, რომ მწვრთნელს 2002 და 2004 წლების ზაფხულში გუნდის ნებთ დატოვება შეუძლია.

მოსალოდნელია, რომ 10 ნოემბერს, დანიასთან ამხანაგური მატჩისას, პოლანდიის ეროვნულ ნაკრებში არავითარი ცვლილება არ მოხდეს.

ბოლივიის ეროვნული ნაკრების არგენტინელი თავკაცი ზორხე ხაბეგერი ეკვადორთან 1:5 მარცხის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამჟამად ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ახალი მწვრთნელის ძიებაშია, რომელიც ბოლივიის ეროვნულ ნაკრებს დაარჩევს ორ მატჩში, პერუსთან და ბრაზილიასთან, უნდა გაუძღვეს.



შპს "საბურთალოს რაიონული ადმინისტრაცია"

იტალიური „რომას“ ხელმძღვანელობას „კიევის“ ლიდერ კრისტინ მონფრედისის გადაბირება 7,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. 26 წლის შემტევი ნახევარმცველი რომაულ კლუბს, საგარაუდოდ, მიმდინარე სეზონის ბოლოს შეუერთდება. კონტრაქტის დადგენის და შემდეგ ტურნირში გაშვების შემდეგ მანფრედისის კარიერის დასაწყისში „იუვენტუსი“ აყვრებდა, მაგრამ ფეხბურთელმა კარიერის დიდი ნაწილი იტალიის დაბალ ლიგებში გაატარა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა სეზარ სამპაიო ესპანური „დეპორტივო“ დატოვა. მას შემდეგ, რაც 2000 წლის 33 წლის ბრაზილიელი ლაკორუნიაში სათამაშოდ გადავიდა, ტრაუმების გამო მხოლოდ ათჯერ ითამაშა. „ტრაუმებს“ რომ ხელი არ შეეშალა, შემდეგ, დიდი წარმატებებისთვის მიმდევია — განაცხადა სამპაიომ, რომლის მომავალიც, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

მსაბურთალო „ბარსელონას“ მცველი შეგი პატრიკ ანდერსონი, რომელიც შეგიდეთ — ანტონიანის მატჩისას დაშავდა, შაბათს „ვალენსიას“ წინააღმდეგ კლუბს ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, რამდენიმეგვირიაიანი პაუზის შემდეგ კატალიონიელთა რიგებს კვლავ დაუბრუნდება ტრაგედიამომწვეული კოკო და ბრაზილიელი ვარსკვლავი რივალდო.

ტუნისური პრესის ცნობით, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის მთავარი კანდიდატები იტალიისა და ესპანეთის ყოფილი დამრიგებლები, არიო საკი და ხავიერ კლემენტე არიან.

ტუნისის ფეხბურთის ფედერაცია ორივე მწვრთნელს მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც გუნდიდან გერმანელი სპეციალისტი ევჰარდ კრაუტცენი დაითხოვა.

დანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ ალან სიმონსენს შოტლანდიის ეროვნული ნაკრების გაწვრთნა სურს. შეგახსენებთ, რომ სკოთთა ნაკრები შესარჩევ ციკლში ცუდი გამოხვლის გამო შაბათს მთავარმა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა დატოვა. სიმონსენი ჯერჯერობით ფარერების ნაკრებს ავარჯიშებს, მაგრამ კუნძულელებთან კონტრაქტი 30 ნოემბერს ეწყობება. „ჩემთვის სასიამოვნო იქნება შოტლანდიის ნაკრების გაწვრთნა — განაცხადა დანიელმა სპეციალისტმა — ფარერელებს სურთ, რომ მათთან გაეგარქელო კონტრაქტი, მაგრამ მე სხვა გეგმები მაქვს.“ შოტლანდიის ნაკრების გაძლიერება უკვე უარი თქვას სერ ალექს ფერგიუსონმა, ჯორჯ გრემმა და კენი დალგლიშმა.

დანია

XI ტური

ოფორტე 2:1 ლიუნგბიუ
ბრონდბიუ 2:2 აბადაბიუსი
კოპენჰაგენი 3:0 ორაუსი
სილკებორგი 3:4 მსაბურთალო
ვიტორბი 2:2 ოფორტე

მაგრამ, დაუბრუნდეთ ინგლისურ-ამერიკულ ექსპედიციას, რომლის ძირითადი შემადგენლობის სამ წევრს ინგლისელ ტომ ნევისონს, ახალზელანდიელ პეტერ მაღორუსა და შერა ანულს უფანგბადოდ მანასლზე ასასვლელად 120 მეტრითა დააკლდათ, მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა მასზე მოიერიშებებს ბედის ცდა ლამის სიციხეების ფასად დაუჯდათ. ზოგს ხელი მოეწონა, ზოგს ფეხი, ერთს ფილტვების ანთება დამართა, მერე ფეხი დაიშავა, ავადმყოფ-დამაგებულებს დამოკიდებულად სიარული აღარ შეეძლოთ, მაღორუს მოყრულობა კი იძულებდა მძიმე აღმოჩნდა, რომ მას ორივე ფეხი მუხლს ქვემოთ მოკეთეს.

ამ ექსპედიციის უმთავრესი მიღწევა კი ამა დაბლაშივე ასვლა აღმოჩნდა. პირველამსვლელად მოგვევლინნენ მაიკლ უორდი, უოლს რამანესი, მაიკლ ჯილი და ბარი ბიშონი. მათ მერე გავლილი მარშრუტი ერთ-ერთი ურთულესი აღმოჩნდა მთელს ჰიმალაიზე. და ეს მაშინ, როცა შიშა პანგმას გარდა ყველა რვაათასიანი უკვე დალაშქრული იყო. მეტიც, ამა დაბლაშივე ასვლა ტექნიკური სირთულით არ ჩამოუვარდებოდა ალპების მარშრუტებს, იქ თუ „აკრობატული ალპინიზმი“ უკვე ჩვეულებრივი ამბავი იყო, ჰიმალაიზე ეს უკვე ახალი ხილი გახლდათ და, ბუნებრივია, უფრო ძნელად მისაღწევად.

ამა დაბლაში გამოიყენეს თოკის კიბეები, 500 მეტრამდე თოკის მოაჯირი, მრავალი თოვლისა და ყინულის პალო... ეს ყველაფერი თავისთავად მეტყველებს მარშრუტის სირთულეზე და იმაზეც, რომ საავალი კომბინირებულია. ამგვარი გზის დამძლევი მთამსვლელი მტენაკლებად ერთნაირად უნდა ფლობდეს თოვლსა და ყინულზე მოძრაო-

ბის ტექნიკას, მკლდურის ისტატობას... სამწუხაროდ, დაშვების აყვითელი კომპის კლდის მოწყობილობა ნატეხმა მიიმედ დატვირთულ შერა გუმბენ დორიუს მარშრუტზე წინა წინას ტექნიკური გადაუმტკიცია. მთამსვლელები უორდის, რორიდრე არიფციით ექიმ დოკ და შაგბულის კოუნსილი ჰევი კრუსონს რა, არტამანი დაადო და შეუხვია, მერე კი მისი ძალზე მძიმე ტრანსპორტირება დაიწყო. იგი ძალზე რთულ ქედზე მონაცვლობით ზურგზე მოკიდებული ჩამოჰყავდათ, ხან თოვლზე აცურებდნენ. ისინი კუს ნაბიჯით ეშვებოდნენ და იმ დღეს მხოლოდ 6200 მეტრის სიმაღლეზე დაეშვნენ, სადაც ლამის გასათვალკარავი დასცეს. გავირგებულს ქვა აღმართში დაეწევაო და, იმ დამეს თოვა დაიწყო. დიდი ვაჟკაცობა იყო, რომ მერე დღეს გუმბენ დორიუს ჩამოყვანა შესძლეს.

„ყველაფერი ერთად აღებული — ამა დაბლაში პირველასვლა და ამ მწვერვალთან დაშვების ტრანსპორტირება — ჰიმალაური ისტორიის საამაყო ფურცლად უნდა ჩაითვალოს“ — დაასკვნა შემდგომ იმ დროის ჰიმალაური ალპინიზმის უდიდესმა მკოდნემ, სწავლულმა და მთამსვლელმა, მწერალმა და ფოტოგრაფმა გიუტერ ოსკარ დირენფურტმა.

როგორც ვთქვით, ამა დაბლაში საქართველოს ალპინიზმის ისტორიაშიც შევიდა. მაშინ, 1997 წლის შემოდგომაზე თბილისელი გია თორთლაძე რუსებმა თავიანთ ექსპედიციაში მიიწვიეს. მათი ექსპედიცია 24 დღეს გაგრძელდა. ამ ლაშქრობისას მთამსვლელებს: ეკატერინებურგელ ვალერი პერშინს, კრასნოიარსკელ ეგენი ვინორადოვს, ნიკოლაი ზახაროვს, ვლადიმერ კარლოვს, ვლადიმერ კარატაევსა და გია თორთლაძეს პერმელი ექსპედიციის მეთაურის ბორის სედუსოვის ხელმძღვანელობით სამი საიერიშო ბანაკის მოწყობა დასჭირდათ (5400, 5800, 6200მ). ისინი დღემდე ვერტიკალურად საშუალოდ დაახლოებით 430 მეტრით მიიწვედნენ ზემოთ. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა კლდეები მონაკვითი, რომელიც მერე საიერიშო ბანაკიდან 100 მეტრის ზემოთ იწყებოდა. ორად გაყოფილი ჯგუფიდან ერთმა ამ მონაკვთზე ახალ იჯახირა, მეორედან კი, რომელშიც თორთლაძეც იყო, ვალერი პერშინმა პირველმა დასძლია და სხვებს გზა გაუკვალა. ასვლისას მთამსვლელებმა 42 თოკი-დაკიდეს (თითოეულის სიგრძე ჩვეულებისამებრ 50 მეტრი იყო).

მთელი ექსპედიციის მსვლელობისას ავღარი იყო. ძლიერ ქარს თოვა ენაცვლებოდა. ორჯერ საბაზო ბანაკშიც მოთოვა. მწვერვალმა ნამდვილი ქარა-მოტი დაიტეხა თავს გადამწვევტი იერიშის დაწყებისას. ერთ კარავში შეწყურებულმა მთამსვლელებმა ჯოჯოხეთური დამისთევა გადაიტანეს. ძლიერი ქარი არც დილით დამცხრალა. არადა, დიდი დახრილობის ყინულოვან ფერდობზე ადიოდნენ. ტაბათით მიიწვედნენ ზემოთ, ქარი კი არადა არ ცხრებოდა. ერთი ხანობა იერიშზე ხელის ალება იფიქრეს ისევე, როგორც იმავე დღეებში ამა დაბლაში მოიერიშე აპონელებმა, მაგრამ სწორედ იმ დროს ქარი დამოშმინდა და ბოლოს და ბოლოს მთამსვლელებმა მწვერვალთან სოფელ პენგ ბონეს გადმოხედეს, იქვე აღმოსავლეთით კი დედამიწის უმაღლესი მწვერვალი აყუდებულ იყო.

ამთანადილ გუარასაზილი აგტორის ფოტოები



თოვლის კაცის სკალბი და ხელის მტეხანი

შენი 30 არა, ძველანა გვაქვს გასარემონტებელი

სამართლებლოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობა რემონტდება. ამიტომ დიდი ხნით ადრე იქ დაგეგმილი სეოკ-ის აღმასკომის სხდომა რომ არ ჩაშლილიყო, მას ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვიკი თოფაძემ თავისივე ფონდის თუ ქარხნის მშენებელი ოფისში უმასპინძლა. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი მთავარი საკითხი „ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“ იყო. ამასთან, ერთ-ერთი მომხსენებელი, როგორც საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, თავად ვიკი თოფაძე გახლდათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, თოფაძე თავისი ფედერაციის სამსახურს, ზოგადად საქართველოს სპორტს, არა ერთხელ მოუხიზნებია მხსენებელ და დამხმარებელ. თუნდაც ამ ზაფხულს მურსიაში (ესპანეთი) გამართული ევროპის ახალგაზრდობის VI ოლიმპიური ღონისძიებაში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა გაეცხადებინათ. რომ არა თოფაძე, მასში მონაწილეობას ვერ მივიღებდით და დღეს თავმოსაწონებლად არც იქ მოპოვებული ოთხი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი გვექნებოდა, რამაც ჩვენი ქვეყანა X ადგილზე გაიყვანა.

სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე ესეც გაიხსენეს, რადგან დღის წესრიგში იყო „ევროპის ახალგაზრდობის VI ოლიმპიური ღონისძიებაში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგების შესახებ“, რაც შესაბამის დადგენილებაში დადგენილია შეფასება.

მაგრამ თოფაძეს, მის ფონდსა თუ ქარხანას თავისი პრობლემებიც ეყოფა და იგი საქართველოს სპორტისა თუ სხვა სფეროების გადარჩენაში ფინანსთა სამინისტროს ფუნქციას ვერ იკისრებს, მით უმეტეს სახელმწიფოს მოვალეობას.

აღმასკომის სხდომაზე მოწონებით შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტის

წლებიანი 8 ოქტომბრის ბრძანებულებას „ოლიმპიური დღის დაწესების შესახებ“. ამის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების დღე, 6 ოქტომბერი, გამოცხადდა საქართველოს ოლიმპიურ დღედ და აღინიშნება ყოველ წლის 6 ოქტომბერს.

სხდომაზე დადგინეს, რომ „ამ დღის დაწესება ფართო შესაძლებლობებსა და სტიმულს იძლევა ქვეყანაში ოლიმპიური მორალისა და ოლიმპიზმის პროპაგანდის, სპორტისა და მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ფართოდ გაშლისა და წარმართვისთვის“.

ოლიმპიური და სხვა სახეობის დღეების შემოღება, გიგანტური, კარგია, მაგრამ დღეების დაწესება რა ბედუნაა, თუ დაუფინანსებლობის გამო უძლეური გამოვა. აღმასკომის დღის წესრიგში არ ყოფილა, მაგრამ ისე, სიტყვამ მოიტანა, რომ ევროპის ახალგაზრდა ძიულისტთა ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ფული არ გვაქვსო. არადა, წასვლის შემთხვევაში იქ ოქროს მედლებს ვლიან. იგივე დღეში ჩაგარდნილან ჩვენი სპორტული თუ მხატვრული ტანმოვარჯიშეებიც რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატი კარს მოსდგომიათ. მათ ხელს უშობდა რუსეთში თუ გერმანიაში, როგორც იტყვიან, უანგაროდ ავტოგენ, ასევე და ავარჯიშებენ, ჩვენ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი გასამგზავრებელი თანხა ვერ გამოგვიძებნია. ამ დროს, თუ საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ღონდაძეს ვერწმუნებით, ალექსანდრე თოფაძეს რგოლებზე ასპარეზობაში მედლის მოპოვება ძალუძს.

მაგრამ თემას გადაუხვიეთ და დაუბრუნდეთ ადმასკომს, სადაც მიიღეს საინტერესო დადგენილება „ზაფხულის ოლიმპიური თამაშებში საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის 50 წლისათვის აღნიშვნის შესახებ“. გაიხსენეს, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა იმ პირველ თამაშებში, კელსინკიში, მოპოვეს 9 მედალი, მათ შორის 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს ვიდრე, მაგრამ ამ ყოველივესა და ბევრ სხვასაც უკეთ გაიხსენებენ საიუბილეო დღეებში, რომელიც გაიხსენა 1-7 ოქტომბერს გაიმართება, რისთვისაც შეიქმნა საიუბილეო თარიღის აღნიშვნის საორგანიზაციო კომიტეტი და სამუშაო ვგუფი.

ოლიმპიური, თუ კვლავაც გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიზმისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მალე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს თავმოსაწონებელი აღარაფერი დარჩება და მხოლოდ მოგონებებით ვერ ისულდგმულვს. ამიტომაც სეოკ-ის აღმასკომის წევრებმა, რომელიც ფრიად წარმომადგენლობითი ვახლავთ პარლამენტისა და სხვადასხვა კომისიების წევრებითა თუ ხელმძღვანელებით, მტკიცე ბრძოლა გადაწყვიტეს სოლტ ლეიკ სიტის ზემოთის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, ფინანსთა მინისტრის სახელზე სეოკ-ისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ არაერთგზის დაყენებული საკითხის, ამ პრობლემასთან დაკავშირებით მასშტაბის საშუალებით გაკონკრეტებული სეოკ-ის განცხადების მიუხედავად, დღემდე არაფერი გაკეთებულა ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებისა და მასში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, რის გამოც სერიოზული საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მცირერიცხოვანი სპორტული დელეგაციის სოლტ ლეიკ სიტში გამგზავრება.“

სეოკ-ი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, ქვეყნისა და ქართული სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე ოპერატიული პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ შესაბამის სპორტულ სტრუქტურებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.“

იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი სახეობის სამართლებლო ოლიმპიურ თამაშებში თუ მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები და მისთანები, ოლიმპიური კომიტეტის შენობა კი არა, მთელი სახელმწიფოა გასარემონტებელი.

აშთაინფორმაციული გზაა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა იმ პირველ თამაშებში, კელსინკიში, მოპოვეს 9 მედალი, მათ შორის 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს ვიდრე, მაგრამ ამ ყოველივესა და ბევრ სხვასაც უკეთ გაიხსენებენ საიუბილეო დღეებში, რომელიც გაიხსენა 1-7 ოქტომბერს გაიმართება, რისთვისაც შეიქმნა საიუბილეო თარიღის აღნიშვნის საორგანიზაციო კომიტეტი და სამუშაო ვგუფი.

ოლიმპიური, თუ კვლავაც გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიზმისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მალე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს თავმოსაწონებელი აღარაფერი დარჩება და მხოლოდ მოგონებებით ვერ ისულდგმულვს. ამიტომაც სეოკ-ის აღმასკომის წევრებმა, რომელიც ფრიად წარმომადგენლობითი ვახლავთ პარლამენტისა და სხვადასხვა კომისიების წევრებითა თუ ხელმძღვანელებით, მტკიცე ბრძოლა გადაწყვიტეს სოლტ ლეიკ სიტის ზემოთის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, ფინანსთა მინისტრის სახელზე სეოკ-ისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ არაერთგზის დაყენებული საკითხის, ამ პრობლემასთან დაკავშირებით მასშტაბის საშუალებით გაკონკრეტებული სეოკ-ის განცხადების მიუხედავად, დღემდე არაფერი გაკეთებულა ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებისა და მასში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, რის გამოც სერიოზული საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მცირერიცხოვანი სპორტული დელეგაციის სოლტ ლეიკ სიტში გამგზავრება.“

სეოკ-ი კიდევ ერთხელ დაბეჯითებით სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, ქვეყნისა და ქართული სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე ოპერატიული პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ შესაბამის სპორტულ სტრუქტურებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.“

იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი სახეობის სამართლებლო ოლიმპიურ თამაშებში თუ მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები და მისთანები, ოლიმპიური კომიტეტის შენობა კი არა, მთელი სახელმწიფოა გასარემონტებელი.

გვირგობის პოლიტიკა ხალხი გააოჩნდა

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდებული მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში გადაღლილ ფაქტებს როგორც იქნა, საშველი დააგადა.

ამერიკელთა მრავალგზის მცდელობა, ემასპინძლათ მოჭიდებული უმთავრესი ასპარეზობისთვის, წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ გვირგობის პოლიტიკა გამოჩნდა. არადა, II სექტემბრის ცნობილი მოვლენებით რომ არა, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატიც დასრულებული იქნებოდა და პრიზიორთა ვინაობაც გვეცოდინებოდა.

მოგესვენებათ, 26-29 სექტემბერს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კალენდრის მიხედვით, ამგვარი ღონისძიებისთვის ნიუ იორკს უნდა ემასპინძლა. მასპინძლებიც ის-ის იყო სპორტულ დელეგაციას მისაღებად ემზადებოდნენ, რომ ვაშინგტონისა და ნიუ იორკზე მიტანილმა ტერიორისტთა იერიშებმა ყველას თავგზა აუხნია. მართალია, მერე და მერე ამერიკელები გონს მოეგნენ და ჭიდაობის მსოფლიოს ოჯახს თავისთან უხმეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა უსაფრთხოების მოტივით აშშ-ში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. იანკები კი თავის მხრივ ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფილა-მ საგანგებო კრება მოიწვია. ჭიდაობის მემბრებიც ცოტა იმსჯელებს თუ ბევრი, გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. ასპარეზობის ერთი ან ორი თვით გადავადების წინააღმდეგ არც ამერიკელები გახლდნენ, მით უმეტეს, რომ ამით დაღუპულია ოჯახებს თანაგრძობას უცხადებდნენ. მოვიანებით კი ამერიკელებმა ერთგვარი ულტიმატუმიც წამოაყენეს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ დროს, ანუ 6-9 დეკემბერს თუ მსოფლიოს ჩემპიონატს ამერიკა არ უმასპინძლებს, მაშინ ასეთი უფლება 2003 წელს ჩვენ უნდა დავკვიმოთო. არადა, 2003 წლისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ნაკლებობას მართლაც არ უნივან. ამგვარი ასპარეზობებისთვის ბულგარელებს აქამდე სამჯერ — 1963, 1971 და 1991 წლებში ემასპინძლათ. ახლა ასეთი პატივი მათ მიუთხვადეც მოიპოვეს.

„თავისუფლებისგან“ განსხვავებით, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავებს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა საბერძნეთში 6-9 დეკემბერს მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მასპინძლობაზე ბულგარეთთან და საბერძნეთთან ერთად პრეტენზიას აცხადებდნენ ბელარუსის, უნგრეთის, ირანის, ყაზახეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, უზბეკეთისა და უკრაინის ჭიდაობის ფედერაციებიც, თუმცა ფილა-ში ყველას ბულგარეთი და საბერძნეთი ამჯობინეს.

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდებული მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში გადაღლილ ფაქტებს როგორც იქნა, საშველი დააგადა.

ამერიკელთა მრავალგზის მცდელობა, ემასპინძლათ მოჭიდებული უმთავრესი ასპარეზობისთვის, წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ გვირგობის პოლიტიკა გამოჩნდა. არადა, II სექტემბრის ცნობილი მოვლენებით რომ არა, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატიც დასრულებული იქნებოდა და პრიზიორთა ვინაობაც გვეცოდინებოდა.

მოგესვენებათ, 26-29 სექტემბერს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კალენდრის მიხედვით, ამგვარი ღონისძიებისთვის ნიუ იორკს უნდა ემასპინძლა. მასპინძლებიც ის-ის იყო სპორტულ დელეგაციას მისაღებად ემზადებოდნენ, რომ ვაშინგტონისა და ნიუ იორკზე მიტანილმა ტერიორისტთა იერიშებმა ყველას თავგზა აუხნია. მართალია, მერე და მერე ამერიკელები გონს მოეგნენ და ჭიდაობის მსოფლიოს ოჯახს თავისთან უხმეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა უსაფრთხოების მოტივით აშშ-ში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. იანკები კი თავის მხრივ ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფილა-მ საგანგებო კრება მოიწვია. ჭიდაობის მემბრებიც ცოტა იმსჯელებს თუ ბევრი, გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ცვლილებები შეეტანათ. ასპარეზობის ერთი ან ორი თვით გადავადების წინააღმდეგ არც ამერიკელები გახლდნენ, მით უმეტეს, რომ ამით დაღუპულია ოჯახებს თანაგრძობას უცხადებდნენ. მოვიანებით კი ამერიკელებმა ერთგვარი ულტიმატუმიც წამოაყენეს. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ დროს, ანუ 6-9 დეკემბერს თუ მსოფლიოს ჩემპიონატს ამერიკა არ უმასპინძლებს, მაშინ ასეთი უფლება 2003 წელს ჩვენ უნდა დავკვიმოთო. არადა, 2003 წლისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ნაკლებობას მართლაც არ უნივან. ამგვარი ასპარეზობებისთვის ბულგარელებს აქამდე სამჯერ — 1963, 1971 და 1991 წლებში ემასპინძლათ. ახლა ასეთი პატივი მათ მიუთხვადეც მოიპოვეს.

„თავისუფლებისგან“ განსხვავებით, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავებს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა საბერძნეთში 6-9 დეკემბერს მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის მასპინძლობაზე ბულგარეთთან და საბერძნეთთან ერთად პრეტენზიას აცხადებდნენ ბელარუსის, უნგრეთის, ირანის, ყაზახეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, უზბეკეთისა და უკრაინის ჭიდაობის ფედერაციებიც, თუმცა ფილა-ში ყველას ბულგარეთი და საბერძნეთი ამჯობინეს.

გიბა გუგუშვილი

ჭაღრაბი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ერევანი (სომხეთი)

რუსეთი და სხვაი ოპერატი

სალხარაპალი საჭადრაკო ტურნირების პოპულარული სარბილი ოპერის თეატრები გახლავთ. ბათუმის შემდეგ ახლა ერევანის ოპერის თეატრში მასპინძლობს მოჭადრაკეებს: დღეს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი იწყება.

სამართლიანად შენიშნავენ, რომ ყოველ ოთხ წელიწადში დადგებილი ეს შეჯიბრება მუდამ საჭადრაკო ოლიმპიადების ჩრდილში იდგა. მიზეზი ორია: ისტორია და შემადგენლობა, ანუ საჭადრაკო ოლიმპიადები ვერ კიდევ რომ დამართვა კი მხოლოდ 16 წლის წინ, ფიდეის კონგრესზე დადგინეს. შემადგენლობაზე კი იმას მოგახსენებთ, რომ თუ ოლიმპიადის სარბიელი ბაბილონის გოლოლად იქცევა ხოლმე, ჩემპიონატზე გუნდების ოლიმპიადის ერთ ათეულს არ აჭარბებს, რადგან იქ მხოლოდ მკაცრი კრიტერიუმებით შერჩეული ნაკრებები ხვდებიან. წლებულს, კერძოდ, ესენი არიან: რუსეთი, გერმანია, უკრაინა (სტამბოლის ოლიმპიადის პრიზიორები), სომხეთი (ევროპის ჩემპიონი და ესეც რომ არ იყოს, მასპინძელი), უნგრეთი (ევროპის ვიცე-ჩემპიონი), უზბეკეთი (ახლის ჩემპიონი) და კუბა (ამერიკის ჩემპიონი). აფრიკელებმა სწორად განსაჯეს, რომ ერთი, თუნდაც კონტინენტის ჩემპიონი ქვეყნის ერევანს გაგზავნა მათ აშკარა ბოლო ადგილისთვის გაწირავდა და ყველა ქვეყნის მთავარი მოჭადრაკეებიდან აფრიკის ერთიანი ნაკრები შეადგინეს. მაგრამ არც ესენი ანგრევენ ქვეყანას. მაქსიმალური რეიტინგის პატრონა ვინმე აშინ სიბუტოვე და მისი მაჩვენებელია 2462 — რომ იტყვიან, დიდოსტატობამდე ვერ კიდევ შორია. ამიტომ გულდავი წინასწარმეტყველებას, რომ შავი კონტინენტი ცხრილის სიღრმედან ვერ ამოვა. აბა, 2462-იანი რეიტინგის მქონე გუნდს ვინაობა ალექსანდრე მორიზევიჩის, ვისაც 2739 პუნქტამდე აუღწევია და რუსეთის მთელი ნაკრები მისთანა მოჭადრაკეებისგან შედგება. პირველ დაფაზე გამწვანებული მორიზევიჩის შემდეგ არიან: ევგენი ბარევი (2719), ალექსანდრე ხალიფმანი (2699), პიოტრ სვიდლიერი (2695), ალექსი დრევი (2690) და სერგეი რუბინოვი (2639). ამ ხალხით რუსეთი უმჯობესად ჩემპიონი უნდა გახდეს, თუკიდევ უკეთესი შემადგენლობა ჰყავდათ რუსებს 8 წლის წინ კრამნიკის ხელმძღვანელობით, მაგრამ თავს უშტრეს და წინასწარ დადგინდა ჩემპიონობა ამერიკის კარგად შეკრულ ნაკრებს ჩააბარეს. მაშინ იანკებს მოუძლოდა ემეგრანტი გატა კამსკი, რომელმაც კრამნიკის ერთ-ერთი გადამწყვეტი პარტია მოუგო. რუსებმა დაკარგეს ვერცხლის მედლებიც, რადგან უკრაინის პირველ დაფაზე მძინვარებდა ვასილი ივანჩუკი და მას სხვა თანაგუნდლებმაც აუტეს მხარი.

უკრაინელებს პირველ დაფაზე ახლაც ივანჩუკი ჰყავთ, იმას მოსდევს რუსლან პრიზმარიოვი და სთადარიგობებშია ერთ დროს გენიოსად წოდებული ოლეგ რომანოვი, ვისაც კასპაროვისნაირი მომავალს უჭადრენ და მიზეზთა გამო ასე არ გამოვიდა. საერთოდ, რამდენიმე ნაკრებს ძალიან ძლიერი პირველი დაფები ჰყავს: უნგრეთს — პეტერ ლეკო, უზბეკეთს — რუსტამ კაშიმჯაგოვი, გერმანიას — რუსტამ კაშიმჯაგოვი, მაგრამ მომდევნო ეშლონების მოჭადრაკეთა რეიტინგები სწრაფად კლებულობს.

ნანსენები 8 ნაკრების გარდა, ფიდეის ორი გუნდის მიწვევის უფლება ჰქონდა და „უილდ ქარდები“ ერვით ირანს და მაკედონიას. არც ერთია ციდან ვარსკვლავების მომწვევები და არც მჭირე.

დავით გულუა

რუსთაველი ნევილები გააოჩნდა

სამართლებლოს საავტომობილო ფედერაციამ წლებულს კიდევ ერთი სიახლე შემოგვთავაზა. საუბარია წვევითა რბოლაზე უცხოეთში მეტად პოპულარულ ამ სახეობას მიმდევრები ჩვენშიც გამოეჩნდნენ. ასპარეზობის სარბიელად გამოყენებულ იქნა „რუსთაველის“ ტრასის ნაწილი, რასაც დაემატა სამისიოდ აუცილებელი გრუნტიანი მონაკვეთი და ხიდი. თითქმის ორკილომეტრიანი დისტანცია ტრიბუნებიდან (თუკი იმ ნარჩენებს ასე შეიძლება ვუწოდოთ) მშენებრად მოჩანდა.

პირველად ასეთი შეჯიბრი ავიასტოში საერთაშორისო რალის დროს უნდა გამართულიყო, მაგრამ თავსხმის გამო დებიუტი არ შედგა. ამჯერად ხელი არაფერს შეუშლია და ახალ ტრასაზე თითქმის ყველა ჩვენი საუკეთესო მრბოლი ვიხილეთ. დროის კონტროლი სახელგანთქმული შვეიცარული ფორმა „ლონჯინის“ ძვირადღირებული აპარატურით ხორციელდებოდა. ისიცაა სათქმელი, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად მსაჯებს ერთხელ ფოტოფინიშის გამოყენებაც კი დასჭირდათ.

პირველობისთვის ბრძოლაში ცხრა მრბოლი ჩაება. ტურნირი პლეი ოფის სისტემით (ორ მოგებაზე) წარიმართა. მშენებრად იასპარეზა 26 წლის დებიუტანტმა მამუკა მელაძემ („პონდა“) — კვალიფიკაციაში საუკეთესო დრო აჩვენა, შემდეგ კი ალექსანდრე ჯანელიძისა და დავით იაშვილის ძლევის ფინალში გავიდა. გადამწყვეტ სტადიაზე მისი მეტოქე იყო „ლანდა-სამარაი“ მრბოლი.

ასპარეზე ხურბა ბეგაშვილი, რომელმაც მანამდე მირიან ონოფრიშვილი და დავით ვიკლაური დაამარცხა.

ჩემპიონის გამოსავლენად სამივე ცდის ჩატარება განხდა აუცილებელი. საბოლოოდ წარმატება უფრო გამოცდილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კლუბის წევრმა ბეგაშვილმა

იხიმა. მესამე ადგილი იაშვილს ერგო. როგორც ყველა სიახლეს, აღნიშნულ ღონისძიებასაც გარკვეული ორგანიზაციული ხარვეზები ახლდა, რაც იმედია, მომავალში გამოსწორდება და აშკარად თვალსაჩინო სანახაობა მაღალ დონეზე ჩატარდება.

ოლეგ ნაცვლიშვილი



ხილიანი სიახლე ყველას მოეწონა

სპორტულ შურნალისტთა სახურავადგომი

დღეს, 13 საათზე, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა კავშირის ოფისში (ჭავჭავაძის 49ა) გამართავს პრესკონფერენციას საქართველოს ნაყრების მომავალ მატჩებთან დაკავშირებით.

ჟანი ბეზიას ცამები ოქრო დუნდულები რომ არ მჭივებოდეს, ალბათ, გაფრინდებოდა

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მიმდინარე ველობოლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდების შემდეგ ოთხშაბათს ქალები ჩაებნენ საქმეში და ინდივიდუალური რბოლა გამართეს. პარკ მონსანტოს საკმაოდ ძნელ გზაზე საუკეთესო დრო ფრანგმა ჟანი ლონგომ აჩვენა და თავისი კარიერის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონის მეცამეტე ოქროს მედალი მოიპოვა.

18,9 კილომეტრი ლონგომ 29 წუთსა და 08,55 წამში დაფარა და ახალგაზრდა შვეიცარიელ ნიკოლ ბრანდლის ოდენ 0,41 წამით ავიდა. საინტერესოა, რომ უბერებელმა ფრანგმა ველომბოლია ჩემპიონის წინა ტიტული 1997 წელს დაახლოებით მსგავს სიტუაციაში მოიხვეჭა, როცა რუს ზულფია ზაბიროვაზე მხოლოდ 0,7 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა.

ოთხშაბათს, რბოლის დაწყებამდე ნამდვილად ვერავინ იწინასწარმეტყველებდა ასეთ დასასრულს, რადგან გამარჯვების კანდიდატები მრავლად იყვნენ. მთავარ ფავორიტად ქალთა "ტურ დე ფრანსის" მომგებ ესპანელ ზონ სომარბას თვლიდნენ, რადგან გზა რამდენიმე აღმართს შეიცავდა, სომარბა კი ასეთი ეტაპების სპეციალისტად მიიჩნევა. მართალია საუკეთესო ინდივიდუალისტად არ ითვლება, მა-

გრამ იტალიელი მთელი ფაბიანა ლუპერინიც ყურადღება მისაქცევი იყო.

თუმცა შეჯიბრის მონაწილეების წინ მალე აღმართულმა დაბრკოლებამ რობლა ლონგოსა და 21 წლის ბრანდლის შორის ღუელად აქცია. ისე, საინტერესოა, რომ ლონგომ თავისი პირველი ეროვნული ტიტული სწორედ ბრანდლის დაბადების წელს მოიპოვა.

სომარბა პირველივე აღმართზე დევცა. ანტვერპენის ტრეკზე გამოდგენებით რბოლაში ვერცხლის მედლის მფლობელი რუსი ოლგა სლიუსარევა ნამდვილად ფორმიდან ამოვარდნილიყო. გერმანელი ჰანკა კიუპფერნაველი ბრძოლას სასტარტო ტრამპლინზე გამოიყვანა, რადგან უკვე მამინვე მოუწია ველოსიპედის გამოცვლა. მარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი მერი ჰოლდენი კი აღმართებს ვერ იტანს და ბევრი არც უბრძოლია.

მეორე დაბრკოლების უმაღლეს წერტილზე ბრანდლი ლონგოს 8 წამს უგებდა, მომდევნო საშუალო ფინიშზე კი მათ შორის სხვაობა უკვე 4 წამამდე შემცირებულიყო. საბოლოოდ კი ფრანგმა, როგორც იცით, მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა.

„უბედნიერესი ვარ ამ ტიტულის მოპოვებით, ისევე როგორც წინა თორმეტის. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მა-

ლიან გამიჭირდა. დიდი ტურნირების დროს მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში ვარ, რაც დუნდულების დაჭიმვას იწვევს და მარცხენა ფეხი თითქმის მიმეშლება-ხოლმე, ოღონდ პელების ტრიალს ამის მიუხედავად ვახერხებ. ჩემი ქმარი პატრისი, რომელიც ჩემი მწვრთნელიცაა, მეუბნება, რომ ძალიან ცოტას ვაგებდი და შესაბამისად ბოლო კილომეტრებზე ჩამორჩენის ამოქმედა შეიძლებოდა“ — განაცხადა ლონგომ, რომელიც მალე 43 წლისა მოიყრება.

რაც შეეხება „ჟანი ბეზიას“ მომავალს, იგი ვერჯერობით სპორტული კარიერის დასრულებას არ აპირებს. „მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლის (ზოლდერი, ბელგია) და 2003 წლის (პაძილტონი, კანადა) მსოფლიოს ჩემპიონატებზე სავარაუდოდ არ გამოვალ, ველოსპორტს მაინც არ ვეთხოვები და იმედი მაქვს, რამდენიმე გამარჯვებას კიდევ ვიხვეიშებ“ — თქვა პოლიუმდინ ჩამოსვლის შემდეგ ლონგომ.

ბაზი გურული

დასახე	ინდივიდუალური რბოლა, 18,9კმ
1. ჟანი ლონგო (საფრანგეთი)	29:08,55
2. ნიკოლ ბრანდლი (შვეიცარია)	+0,41
3. ტეოდორა რუანო სანშონი (ესპანეთი)	+4,668



იან ტორასი

ყველაზე ფხიანი ოზი დაბადების დღეს 5 მილიონით აღნიშნავს

იან ტორასს სახელი და დიდება არ აკლია. ველობოლის მხრივაც შესაშური კოლექცია დაუგროვებია. ამიტომაც მოსვენებადაკარგული სპონსორები მასთან კონტრაქტების გაფორმებას ლამობენ, მით უმეტეს, რომ პირტიველა ოზს, რომელიც ხვალ 19 წლისა გახდება, ცურვაზე ხელი არ აუღია.

ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფრის მომგები ავსტრალიელი საკუთარი ნიჭის წყალობით ვოლფის ცოცხალ ლეგენდას, თანამემამულე გრეგ ნორმანს ავსტრალიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენის ტიტულს ჩამოართმევს. ამ ორი დღის წინათ ტორასის მენეჯერმა განაცხადა, რომ ყველაზე ფხიანმა ავსტრალიელმა ერთბაშად სამი ახალი კონტრაქტი გააფორმა სპონსორებთან. კონტრაქტების საერთო მოცულობა 5 მილიონი დოლარია. ხელშეკრულებების თანახმად, იან ტორასი სამი წლით დაუკავშირდა იაპონიის სატელევიზიო სადგურ „ასაპის“. იაპონელები ტორასის მეშვეობით საკუთარი მაყურებლებისთვის სპეცია-

ლური ფილმების შექმნას აპირებენ. ამას გარდა, ოზი მოცურავე 2005 წლის ბოლომდე დაუკავშირდა „ადილასს“, რომელიც ამ მოცურავეს საერთაშორისო სარეკლამო კამპანიაში ჩართავს. მოსალოდნელია, რომ ამ ხელშეკრულების მეშვეობით ტორასი მეგობარულ ტაივარ ვულფსა და კალათბურთულ მაიკლ ჯორდანს გაუტოლდეს.

მესამე ხელშეკრულების თანახმად, ავსტრალიელი თინეიჯერი რეკლამას გაუწევს „გაფნი ინტერნეტუნაის“ პროდუქციას. მათ შორის, მის სათამაშო თოჯინასა და „ტორპედოს“ საცურაო აქსესუარებს. „იგი საერთაშორისო დონის ვარსკვლავია. ჩვენ არ ვცდილობთ, მისგან ყველაზე დიდი ვარსკვლავის შექმნას, მაგრამ ფაქტია, რომ ტორასი საერთაშორისო არენაზე ყოფნას იმსახურებს. არავისთვის უცხო არაა, რომ იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენია“ — თქვა ტორასის მენეჯერმა დეივ ფლასკასმა.

ბიგა გურასაფხილი



ნიკოლ ბრანდლი, ჟანი ლონგო და ტეოდორა რუანო სანშონი

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

კარდიოქირურგიული დიაგნოსტიკა

გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- ▶ კვალთვითი კარდიოლოგთა კონსულტაცია
- ▶ გულის ტრანსკათეტერიული და ტრანსკათეტერიული ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრეს-ექოსკოპია
- ▶ ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრენინგით
- ▶ ტრანსკათეტერიული ულტრაბუნების დიაგნოსტიკური კვლევა და სტრეს-ტესტი
- ▶ გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- ▶ არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ▶ ულტრაბუნების დიაგნოსტიკა
- ▶ ტაბორატორიული კვლევა
- ▶ ულტრაბუნების დიაგნოსტიკური კონსულტაციები

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

53-73-00; 95-00-33

ბანათლების სამინისტროს

პროფილური განვითარების ცენტრი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.

მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენას და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.

სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შეიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.

ტელ: 95 48 57, 92 03 96

რესტორანი გვიანი ღამე

განსაკუთრებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით დღის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- პროფესიონალური სამზარეულოს და შიამბლეჯის მწვერვალი და ვერა-კლუბის სანაპირო და ნაირფერაობა.
- ვსწრაფი წვეულების, პანკრეტის, ფურშეტის მიწებისა და მთელი სპეციალური მომსახურების უმაღლესი დონის გარანტია


კუჭოვი ქუჩის ქუჩა №3
(ყოფილი სირაქის სასაზღვრო პირველი საბინო)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით. გვიანდით: კაპაოფილი დარჩებით

NBA. სავაჭრომწიფო მატჩი

სტეფანია რაილის საქმეში დაინახვა



AP ორლანდიდან

ორლანდოელი ტრეისი მაკგრედი (ბურთით) მიახლოებული მურნინგს ვერ გაურბის

10 ოქტომბერი
ორლანდო 83:70 მიახი
 ორლანდო: არმსტრონგი (3), მაკგრედი (14), პილი (11), ჰ. გრანტი (4), რიდი (2), მილერი (12), გარიტი (12), ვილიამსი (7), ჰაუსონი (5), ჰანტი (4), ოუნი (3), აუთლოუ (2), დეკლერკი (2), სასერი (1), ფალერი (1), პროფიტი (1).
 მიახი: ჰაუსი (6), გილი (2), დევისი (10), ჰ. გრანტი (8), მურნინგი (6 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარვა); ბაფორდი (19), მეი (6), სტეფანია (3 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი), მარტი (4), ჯეიმსი (3), ელისი (2), ლემლი.

მაგრამ ნბა-ში არიან იმ კატეგორიის კალათბურთელები, რომლებსაც სავაჭრომწიფო თამაშები გუნდში ადგილის დამკვიდრების დიდ შანსს აძლევს და ამდენად, უბრალო წაყვარებულ ბევრად მეტს ნიშნავს.
 მათ შორის ურევია ნბა-ში მოხვედრილი პირველი ქართველი ვლადიმერ სტეფანია. ვოვა თავის მეოთხე სეზონს თავის მესამე გუნდ „მიახი 3 ითში“ 50-ნომრიანი მისურით ეგებება. ამ ოთხშაბათს სტეფანიამ ახალი გუნდის პირველ არაოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა.
 10 ოქტომბერს „მიახი“ თანაშტატელ „ორლანდო მეჯიქს“ შეხვდა და 70:83 დამარცხდა. ვლადიმერ სტეფანია და მისი კონკურენტი შონ მარტი რიგრიგობით ცვლიდნენ „პითის“ ძირითად ცენტრს, ალონზო მურნინგს ჩვენებურს 13 წუთი მოუწია მოედანზე ყოფნამ და ძნელი სათქმელია, ამ მცირე ხნის განმავლობაში მოაწონა

თუ არა თავი ახალ დამრიგებელს პატ რაილის. სტეფანია არცთუ ზუსტად ისროდა, ოთხი ქულის გაკეთებას თამაშის შვიდი სროლა (ორი ჩააგლო) და სამი საჯარიმო (ყველა ააცილა) დაახარჯა. სამაგიეროდ, იგი ყოჩაღად ირეკებოდა ფარზე და მოხსნებში მხოლოდ ალონზო მურნინგს ჩამორჩა. ამასთან, ვოვამ შეიძინა ხუთი ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა, რაც იმ თამაშში სხვამ ვერაინ შეძლო. აღსანიშნავია, რომ ორლანდოელებმა ოდენ ექვსჯერ მოხსნეს თავიანთი ნასროლი, სტეფანიამ კი ხუთჯერ მისცა თავისიანებს მეორედ შეტყევის შანსი.
 მაგრამ იმ დღეს სტეფანიასთან ერთად მისი ახალი თანაგუნდელებიც უხეიროდ ისროდნენ. მურნინგმა ათი სროლიდან შეიძინა აცილა, ედი ჰაუსმა — ცამეტიდან თერთმეტი, სტეფანიას დარად „მიახიში“ „ნიუ ჯერსი-დან“ გადაბარებულმა ქენდალ გილმა შეიძინა ექვსი. სხვებიც ხშირად სცოდავდნენ და „პითის“ მარცხის მიზეზიც ეს გახლავთ.

ამ შეხვედრამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. „ორლანდო“ ხომ სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, ამ სეზონისთვის პერიოდში ბევრი ახალი მოთამაშე შეიმატა და წინა სეზონთან შედარებით შეუდარებლად მოლონიერდა. სრული დატვირთვით ვარჯიშობს გრანტ პილი, რომელიც „ორლანდოში“ შარშან დაახლოებით ამ დროს გადავიდა, მაგრამ ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა ამ მატჩში 21 წუთი ითამაშა და 11 ქულა ჩაუგდო სტეფანიას გუნდს. იგი თავიდან აშკარად ღელავდა, რასაც საწყის წუთებზე ორი იოლი სროლის გაფუჭება და ბურთის დაკარგვა მოწმობს. „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნბა-ში პირველ შეხვედრას ვთამაშობდი“ — აღიარა ნამატჩევეს პილი. არადა, იგი 1994 წლიდან ახანზარებს ნბა-ს. „ფიქრობ, გრანტს გული უფრო სწრაფად უცემდა, ვიდრე ფეხები უმოძრავებდა. ისე, პირიქით უნდა იყოს“ — თქვა ორლანდოელთა დამრიგებელმა დოკ რივერსმა.
 პილისგან განსხვავებით, ამ თამაშში გული ვერ აუჩქარა „მეჯიქს“ ბებერ ახალწვეულს, პატრიკ ოუნიც, რომელმაც ყოფილ თანაგუნდელს, აწ კი მწვერთნელ რივერსს სთხოვა, დიდი ხნით ნუ მათამაშებო და მოედანზე ათი წუთიც არ დაჰყო. „ეს ყველაფერი უკვე მრავალჯერ გამომიცდია. არ მინდა, თავი გავიგო და ტრავმები ავიკიდო“ — უთქვამს ბებერ ხარს.
 ვოვა სტეფანია ამ თამაშში ძველ ნაცნობს გადაეყარა. „ორლანდოს“ კიდევ ერთი ახალწვეულია თავდამსხმელი პორას გრანტი, რომელიც 1999-2000 წლების სეზონში „სიეტლში“ ძირითად ცენტრად თამაშობდა, სტეფანია კი მისი შემცვლელი გახლდათ. გრანტიც თავს არიდებდა ტრავმებს — 17 წუთში ოთხი ქულით შემოიფარგლა.

ირაკლი ფიჩაშვილი

ევროლიგა

პირველი ჯგუფური მატაჩი. | ტურნირის მონაწილეები

A ჯგუფი	B ჯგუფი
ბანტონი 98:94 უნიკაზა (ძირითადი დრო 86:86)	პინედრო 90:54 მალბორნი
ზარდირა 63:71 ზლიონსაი	ულბერი 107:64 ლონდონ თაუბერი
მაკაბი 82:70 ალბა	ოლიმპია 81:74 პირსტიანი
ოლიმპიკოსი 87:72 იფსი	საბილიანერი 74:88 პარსლონა
C ჯგუფი	D ჯგუფი
პო რტინი 91:83 ცსაბ	პარტიზანი 86:77 რსტინი
პანათინაიკოსი 81:70 სპიპირი	ურალ გრიტი 99:88 სპაგოლინი
გაუპინსტი 72:82 რაბლი	ციონა 96:95 ტაუ (ძირითადი დრო 83:83)
პრბ 91:94 ზაბარი	ვილბარანი 86:84 აპი (ძირითადი დრო 72:72)



მაკაბი — ალბა. დერეკ ფელსი (168) მაკაბელი არიელ მაკლონდის წინააღმდეგ

REUTERS თელ აფიდან

სლოვენიაში პირზე შესდნენ ცქიტევილის საქმე სასამართლოში გაიჩინა

თუ მოთამაშე კონტრაქტს არღვევს ანაც თვითნებურად წვევებს, კლუბი მის მიმართ აუცილებლად დამსჯელ სანქციებს მიმართავს, მაგრამ თუ თავად კლუბი არ ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ მოთამაშეს გუნდის დატოვებაში ხელს ვერაინ შეუშლის. მაგრამ ეს ერთი ხელის მოსმით და უმტკივნეულოდ არ ხდება. ზუსტად ამგვარ სიტუაციაშია ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტევილი, რომელიც აუნაზღაურებლობის გამო ლიუბლიანის „სლოვანს“ გაეყარა და ევროლიგაში მოასპარეზე იტალიურ „ბენეტონთან“ ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ სიახლე ჩვენთვის ნაკლებად სასამართლოა.
 გასული თვის ბოლოს ვერდიო, რომ „ბენეტონის“ წარმომადგენელი ცქიტევილის „სლოვანიდან“ განთავისუფლების ფურცლის მისაღებად ლიუბლიანის ეწვია და რამდენიმე დღეში კიდევ

მიღწევდა მიზანს, მაგრამ გავიდა ორი კვირა და ქართველის ბედი კვლავც გაურკვეველია. სლოვენურმა კლუბმა არ ისურვა იტალიელისთვის საჭირო დოკუმენტის ნებით გაცემა და საქმეც ჩაიხლართა. ცხადია, „სლოვანმა“ კონტრაქტი დაარღვია და კალათბურთელიც უნდა გაათავისუფლოს, მაგრამ ამას მხოლოდ სასამართლო თუ აიტულებს, რომელმაც საქმე საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს და გადაწყვეტილება მიიღოს. ასე რომ, ცქიტევილის მოქმედების გამართლება მხოლოდ სასამართლოს ძალუძს, რომელზეც თავის მხრივ „სლოვანიც“ ყველა ღონეს იხმარს, რათა ქართველის გუნდიდან წასვლას წინ აღუდგეს, რაც შექმნილ ვითარებას თუ გაითვალისწინებთ, არ უნდა გამოუვიდეს. მას მხოლოდ ამ საქმის გაჭიანურება შეუძლია, რითაც კალათბურთელს აზარალებს.

სანამ ცქიტევილის სიმართლე გაირკვევა, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე კვირა გავიდეს, „ბენეტონი“ კი იტალიის ჩემპიონატში ჩაება და ორი დღის წინ ევროლიგაც დააჭაშნიკა. ქართველს, სანამ სლოვენიაში საჭირო საბუთს არ მიიღებს, უფლება არა აქვს გუნდის ოფიციალურ თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. არადა, როგორც შევიტყვეთ, ტრევიზოული კლუბის მთავარი მწვერთნელი მაიკ დანტონი ნიკაით მეტად კმაყოფილია. მას დიდი სურვილი აქვს, ქართველი კლუბში დატოვოს, რისთვისაც მზადაა, ძირითადი შემადგენლობიდან ერთ-ერთი კალათბურთელი ამოაგდოს.
 სანამ სლოვენიაში დავობენ, ცქიტევილი ტრევიზოში კვლავ სასტუმროში ცხოვრობს და „ბენეტონთან“ ერთად სისტემატურად ვარჯიშობს.


ირაკლი ბირაძე




ნიკა ცქიტევილი

ბურაბ ფურულანაშვილი, ფოტო

დაბყარდა



ფრანგმა ველომობილიზატორმა არნო ტურნანმა 60 წამს დაბლა ჩამოსწია ერთი კილომეტრის გავლის თავისივე მსოფლიო რეკორდი და მანძილი 58,875 წამში დაფარა. ამასწინანდელი ჩემპიონატის მეორე გმირთან, ლორან განესთან ერთად, ტურნანი მაღალმთიან ბოლივიას ეწვია, სადაც ლა პასის ახლოს, ალტო ირპავის ტრეკზე მოახდინა ეს საქმე. ორივე ველოსიპედისტი ანთებული იყო რეკორდის დამყარების სურვილით, თუმცა განეს კოჭმა უმტყუნა და ნაღდი შებრძოლება აღარ გამოუვიდა. ალტო ირპავის ტრეკი კი ზღვის დონიდან 3600 მეტრზე მდებარეობს და იმითაა განთქმული, რომ აქ მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან ველოსიპედისტები, რათა გაიშვიათებულ ჰაერში ივარჯიშონ სისწრაფის მოსამატებლად. ფოტოებზე კი ხედავთ დაქანცულ, მაგრამ ბედნიერ ტურნანს და დაშავებულ განეს.



REUTERS ლა პასიდან



ეროვნული ჩიგლიროთეკა

კვლავ ერთად

ანა კურნიძემ პიძე ტრავმამ და მისმა იძულებითმა, ერთწლიანმა გაუჩინარებამ თითქოს დაძალა მისი და მარტინა შინგისის ვარსკვლავური დუეტი, ყველას რომ შიშის ზარსა სცემდნენ წყვილთა შეჯიბრებებში. მაგრამ აი, ანა მომჯობინდა და წყვილიც აღდგა. ფილდერშტადტის დიდი პრიზის გათამაშებაში ვოგოებმა ლეგენდარულ ბიცილათა წყვილს სძლიეს; მარტინა ნაგრატილოვა და არანჩა სანჩეს-ვიგარიო დაამარცხეს 6:3, 6:4.



ჰაუაიის გაამნარეს

დომინიკ პაშემ იოლად ვერ გახვრეტა თუმცა, შეუძლებელი ქვეყნად არაფერია: კალგარელმა სკოტ ნიკოლმა სწორედ რომ ილიის ქვეშ გაუტარა შაიბა დიად მეკარეს თანაც, „კალგარი ფლეიმზმა“ სტუმრად სძლია ჰაუაიის „დეტროიტ რედ უინგზს“ 4:2.



REUTERS ტოკიოდან

სუქუკას განხორბეზადე

უქმებზე იაპონიის დიდი პრიზი გათამაშდება სუქუკას ტრასაზე. ცხადია, მთელი მეფორმულენი იქ იყრიან თავს. „ფერარის“ კაცები, მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარდიკელი კი პრესკონფერენციას მართავენ შიგვო ვატანაბესთან, საბურავების განთქმული კორპორაციის „ბრიჯსტონის“ პრეზიდენტთან ერთად.

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოცევა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამზაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოსტაძე
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორ-

მაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბინაძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზაბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge